



თანხმობა პერსონალური ინფორმაციის გაზიარებაზე

ვაცხადებ და ვადასტურებ, რომ სს „თიბისი ბანკი“ (ს/კ: 204854595) (შემდგომში „**ბანკი**“) უფლებამოსილია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესებისა და პირობების შესაბამისად და, საჭიროების შემთხვევაში, სამართლებრივი ვალდებულების, ხელშეკრულების შესრულების ან/და წინამდებარე თანხმობის საფუძველზე, გადასცეს **ბანკის** მიერ ჩართულ მომსახურების მიმწოდებელ მესამე მხარეებს მათ მიერ მოთხოვნილი და ჩემ შესახებ **ბანკში** დაცული ინფორმაცია (მათ შორის, ჩემი პერსონალური მონაცემები – საიდენტიფიკაციო და საკონტაქტო ინფორმაცია, ინფორმაცია დასაქმების, შემოსავლისა და ფინანსური მდგომარეობის შესახებ და სხვა ინფორმაცია, ასევე, ჩემს სახელზე **ბანკში** გახსნილ ანგარიშ(ებ)თან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია), **კრიპტო-მოდულში ჩემი წვდომის გააქტიურების მიზნით (მათ შორის, პრევენციული ღონისძიებების (იდენტიფიკაცია/ვერიფიკაცია) განხორციელებისათვის, ჩემი ანგარიშის გახსნისა და მართვისათვის ან/და კრიპტო-აქტივების ყიდვა/გაყიდვის ოპერაციების შესრულებისთვის), ასევე ბანკის ან მესამე პირის ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის (AML/CFT) და სანქციების პოლიტიკებთან შესაბამისობის, მოქმედი მარეგულირებელი მოთხოვნებისა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ნებისმიერი შემთხვევის დაცვის მიზნით, საჭირო მოცულობითა და ოდენობით.** ასევე ვადასტურებ, რომ ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც მე მივაწოდე ან გავუზიარე **ბანკს**, არის სწორი და ნამდვილი.

ვადასტურებ, რომ მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ფარგლებში, თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, მაქვს უფლება, მოითხოვო ჩემს მონაცემებზე წვდომა, მათი დაბლოკვა, შეცვლა, შესწორება, განახლება, შევსება, დამატება, გადაცემა, მონაცემთა დამუშავების შეწყვეტა ან წაშლა, იმ შემთხვევაში, თუ ჩემი მონაცემები შეგროვდა კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევით.

ამასთან, ჩემთვის ცნობილია, რომ გარკვეული პერსონალური მონაცემები არ წაიშლება, არ დაუწესდება შეზღუდვა და სხვაგვარად არ შეიცვლება ჩემი მოთხოვნის საფუძველზე, თუ მათი დამუშავება მოითხოვება კანონით, მათ შორის, **AML/CFT-ს** მიზნებისთვის, სანქციების დაცვისთვის, ფინანსური დანაშაულის პრევენციისთვის ან **ბანკისთვის** დაკისრებული ჩანაწერების შენახვის სავალდებულო მოთხოვნების შესასრულებლად.

თქვენი პერსონალური ინფორმაციის დამუშავებასთან დაკავშირებული ნებისმიერი შეკითხვისთვის დაგვიკავშირდით ელექტრონული ფოსტის შემდეგ მისამართზე: privacycommittee@tbcbank.com.ge

წინამდებარე თანხმობა ძალაშია **ბანკთან კრიპტო-მოდულის** ფარგლებში არსებული სახელშეკრულებო ურთიერთობის მოქმედების ვადით, ხოლო შემდგომ - მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული ვადის განმავლობაში, მათ შორის, მონაცემთა შენახვის ვალდებულებისათვის დადგენილი ვადით.



კრიპტო-მოდულის წესები და პირობები

სს „თიბისი ბანკი“

წინამდებარე წესები და პირობები („პირობები“ ან წინამდებარე „ხელშეკრულება“) არეგულირებს თქვენს წვდომას და კრიპტო-ვალუტასთან დაკავშირებული იმ მომსახურებების გამოყენებას, რომლებიც ხელმისაწვდომია სს „თიბისი ბანკის“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: 204854595) მობილური საბანკო აპლიკაციის მეშვეობით ინტეგრირებული კრიპტო-მოდულის („კრიპტო-მოდული“) საშუალებით.

ეს პირობები წარმოადგენს იურიდიულად სავალდებულო შეთანხმებას თქვენს, როგორც ინდივიდუალური მომხმარებელს („თქვენ“, „თქვენი“ ან „კლიენტი“) და ბანკს შორის, რომელიც არეგულირებს კრიპტო-მოდულის მეშვეობით ხელმისაწვდომი კრიპტო-მომსახურებების გამოყენებას.

მობილური ბანკის ფარგლებში კრიპტო-მოდულზე წვდომით ან მისი გამოყენებით, კრიპტო-ანგარიშის შექმნით ან გამოყენებით, ან თქვენი თანხმობის გამოხატვით შესაბამისი აპლიკაციის შიგნით არსებული დადასტურების, ამომხტარი ფანჯრის (Pop-Up) ან მოსანიშნი გრაფის (Checkbox) მეშვეობით, თქვენ ადასტურებთ, რომ გაეცანით, გესმით და დაეთანხმეთ, რომ თქვენთვის სავალდებულოა: ეს პირობები და ნებისმიერი სხვა პოლიტიკა ან განცხადება, რომელიც მითითებულია აქ, რადგან თითოეული მათგანი შეიძლება დროდადრო შეიცვალოს. **თუ ამ პირობებს არ ეთანხმებით, არ უნდა შეხვიდეთ ან არ უნდა გამოიყენოთ კრიპტო-მოდული ან კრიპტო-მომსახურებები.**

გარკვეულ მომსახურებებზე, ფუნქციებსა თუ ფუნქციონალებზე შეიძლება ვრცელდებოდეს დამატებითი პირობები, წესები ან განცხადებები. საჭიროების შემთხვევაში, ასეთი დამატებითი პირობები წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და ვრცელდება თქვენ მიერ შესაბამისი მომსახურებების გამოყენებაზე.

სამართლებრივი შეტყობინება:

მობილური ბანკის ან კრიპტო-მოდულის მეშვეობით ხელმისაწვდომი ინფორმაცია ან მასალები არ უნდა განიხილებოდეს, როგორც რეკომენდაცია, მხარდაჭერა, შეთავაზება, მოწვევა ან მოწოდება, რათა დადოთ გარიგება, შეიძინოთ პროდუქტი ან სხვაგვარად მოახდინოთ გარიგება ციფრულ აქტივებთან ან სხვა პროდუქტებთან დაკავშირებით. თქვენ აცნობიერებთ, რომ არც ბანკი და არც რომელიმე ინფორმაციის პროვაიდერი არ გთავაზობთ პერსონალიზებულ რჩევას ნებისმიერი ციფრული აქტივის, პორტფელის, ტრანზაქციის, საინვესტიციო სტრატეგიის ან სხვა საკითხის ხასიათთან, ღირებულებასთან, შესაფერისობასთან ან პოტენციურ შესრულებასთან დაკავშირებით. სავაჭრო და



ტრანზაქციებთან დაკავშირებული ყველა გადაწყვეტილება მიიღება მხოლოდ თქვენ მიერ და თქვენ სრულად ხართ პასუხისმგებელი ნებისმიერი ციფრული აქტივის ან ტრანზაქციის შესაფერისობის შეფასებაზე თქვენი პირადი ფინანსური მდგომარეობის, საინვესტიციო მიზნებისა და რისკის ტოლერანტობის გათვალისწინებით.

ნებისმიერი მოწოდებული ინფორმაცია მხოლოდ ზოგადი ხასიათისაა და არ არის მორგებული თქვენს ინდივიდუალურ საინვესტიციო მიზნებზე, ფინანსურ გარემოებებსა თუ საჭიროებებზე. ციფრულ აქტივებში ინვესტირება მნიშვნელოვან რისკებს შეიცავს და კონკრეტულ ციფრულ აქტივებთან დაკავშირებულმა ნებისმიერმა განხილვამ ან მასალამ, შესაძლოა, არ აღწეროს ყველა შესაბამისი რისკის ფაქტორი. საბაზრო პირობები და ინფორმაცია შეიძლება სწრაფად შეიცვალოს, ხოლო კრიპტო-მოდულის, მობილური ბანკის ან მესამე პირის წყაროების მეშვეობით ხელმისაწვდომი კონტენტი შეიძლება იყოს არასრული, მოძველებული ან ჩანაცვლებული ნებისმიერ დროს; კრიპტო-მოდულის, მობილური ბანკის ან მესამე მხარის წყაროების მეშვეობით ხელმისაწვდომი ინფორმაცია, მონაცემები, ფასები და კონტენტი ზუსტი, სრული და განახლებულია მათი ხელმისაწვდომობის დროს, ბანკი არ იძლევა გარანტიას, რომ ასეთი ინფორმაცია ყოველთვის იქნება განახლებული, სრული და ზუსტი. შინაარსი შეიძლება გახდეს არასრული, მოძველებული ან ჩანაცვლდეს სხვა შინაარსით შეტყობინების გარეშე. თქვენ აცნობიერებთ და ეთანხმებით, რომ ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით რისკს თავად იღებთ საკუთარ თავზე.



განცხადება რისკებთან დაკავშირებით

ზოგადი რისკის გაცნობიერება

- **კრიპტო-მოდულის** გააქტიურებით ან/და გამოყენებით, თქვენ აცხადებთ და იძლევით გარანტიას, რომ სრულად გესმით და ეთანხმებით ყველა რისკს, რომელიც დაკავშირებულია **ციფრულ აქტივებთან** და **კრიპტო-მოდულის** მეშვეობით განხორციელებულ ტრანზაქციებთან.
- თქვენ გესმით, რომ **კრიპტო-მოდული** განკუთვნილია მხოლოდ ტრანზაქციის არხისთვის, რათა შეიძინოთ და გაყიდოთ მხარდაჭერილი **ციფრული აქტივები მობილური ბანკის** მეშვეობით და რომ **კრიპტო-მოდულს** იყენებთ მთლიანად თქვენი შეხედულებისამებრ და საკუთარი რისკით.
- **რისკების გამჟღავნების ეს დებულება არ არის ამომწურავი და არ აღწერს ყველა იმ რისკს, რომელიც შეიძლება წარმოიშვას ახლა ან მომავალში.** თქვენ ყურადღებით უნდა შეაფასოთ, არის თუ არა **კრიპტო-მოდულის** გამოყენება შესაფერისი თქვენი ფინანსური რესურსების, მიზნების, რისკის ტოლერანტობისა და გამოცდილების გათვალისწინებით.
- ჩვენ არ გთავაზობთ ინვესტიციებთან დაკავშირებულ რჩევებს, პორტფელის მართვას, რეკომენდაციებსა თუ რაიმე მოსაზრებას ციფრული აქტივის, ტრანზაქციის ან სტრატეგიის უპირატესობებთან, შესაფერისობასა თუ მოსალოდნელ ეფექტურობასთან დაკავშირებით. **ციფრული აქტივების** შეძენის ან გაყიდვის ნებისმიერი გადაწყვეტილება მხოლოდ თქვენი პასუხისმგებლობაა.

ზარალის, ვოლათიურობისა და ბაზრის რყევების რისკი

- **ციფრული აქტივები** მაღალი ვოლათიურობით ხასიათდება. მათი ფასი შეიძლება მნიშვნელოვნად შეიცვალოს მოკლე დროში (მათ შორის, რამდენიმე წუთში ან წამში) და შეიძლება სწრაფად და გაუთვალისწინებლად გაიზარდოს ან შემცირდეს.
- **ციფრული აქტივების** ღირებულება შეიძლება ნულამდე დაეცეს ან არსებითად შემცირდეს, მათ შორის, საბაზრო მოვლენების, მოთხოვნის ნაკლებობის, ტექნოლოგიური ცვლილებების, თაღლითობის, მომსახურების მიმწოდებლების გადახდისუუნარობის ან მარეგულირებელი შეზღუდვების გამო.
- **ციფრული აქტივების** ბაზრები შეიძლება იყოს არალიკვიდური. გარკვეულ საბაზრო პირობებში შეიძლება რთული ან შეუძლებელი იყოს **ციფრული აქტივების** გაყიდვა, ან მათი გაყიდვა სასურველ ფასად, სასურველ ვადებში.
- წარსული შედეგები ან ფასების ისტორიული ტენდენციები არ არის მომავალი შედეგების მაჩვენებელი.



ტრანზაქციის მოდელი, კოტირებები და ფასების რისკი

- **კრიპტო-მოდული** აჩვენებს მხარდაჭერილი **ციფრული აქტივების** ყიდვა-გაყიდვის საორიენტაციო ფასებს („**კოტირებები**“). **კოტირება** ასახავს იმ ფასს, რომელიც ხელმისაწვდომია **კრიპტო-მოდულის** მეშვეობით მითითებული პერიოდისთვის და შეიძლება განსხვავდებოდეს იმ ფასებისგან, რომლებიც ხელმისაწვდომია ბირჟებზე, სხვა სავაჭრო პლატფორმებზე ან სხვა მომსახურების პროვაიდერების მეშვეობით.
- **კრიპტო-მოდულში** ნაჩვენები **კოტირებები** არ ნიშნავს იმას, რომ **ბანკი** გთავაზობთ ბაზარზე ხელმისაწვდომ საუკეთესო ფასს. **კოტირება** არის ფიქსირებული ფასი, რომელიც ხელმისაწვდომია **კრიპტო-მოდულის** მეშვეობით შესაბამისი პერიოდისთვის, რომლის მიღებაც ან უარყოფაც თქვენი დისკრეციაა.
- ერთი და იმავე **ციფრული აქტივის** ყიდვისა და გაყიდვის ფასები შეიძლება განსხვავდებოდეს ნებისმიერ დროს (მათ შორის, სპრედის, საკომისიოებისა თუ საბაზრო პირობების გამო).
- **ბანკი** არ იძლევა იმის გარანტიას, რომ რომელიმე **კოტირება** ხელმისაწვდომი დარჩება ტრანზაქციის აღსრულებამდე და თქვენ აცნობიერებთ, რომ ტრანზაქციის აღსრულება შეიძლება უარყოფილი, გადადებული, ნაწილობრივ შესრულებული ან საერთოდ შეუსრულებელი იყოს **წესების** შესაბამისად.
- თქვენ გესმით, რომ ნაჩვენები ფასები შეიძლება დაყოვნდეს ან ზემოქმედება განიცადოს ტექნიკური შეზღუდვების, შეფერხებების ან მესამე პირის მომსახურების შეფერხებების გამო და, შესაბამისად, შეიძლება არ ასახავდეს რეალურ დროში არსებულ საბაზრო ღირებულებას.
- **ბანკის** მიერ წარმოებული ჩანაწერები და, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი ბლოკჩეინის ან ანგარიშსწორების ჩანაწერები უპირატესია **კრიპტო-მოდულის** მეშვეობით გენერირებულ ნებისმიერ ეკრანზე გამოტანილ გამოსახულებებზე, შეტყობინებებზე ან ამონაწერზე. ეკრანზე წარმოდგენილი უზუსტობები გავლენას არ მოახდენს შესრულებული ტრანზაქციის სამართლებრივ ვალიდურობასა თუ საბოლოო სტატუსზე.

ციფრული აქტივების ტრანზაქციების შეუქცევადობა

- **ციფრულ აქტივებთან** დაკავშირებული ტრანზაქციები შეიძლება შეუქცევადი იყოს. შესყიდვის ან გაყიდვის ტრანზაქციის შესრულების შემდეგ, მისი გაუქმება ან შეცვლა შეიძლება შეუძლებელი იყოს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ამას მოითხოვს მოქმედი კანონი ან **წესებში** მითითებული შეზღუდული შემთხვევები (მათ შორის, სისტემის აშკარა შეცდომა ან გარიგების არასწორი სცენარები).
- თქვენ აცნობიერებთ, რომ შეცდომით, უნებართვოდ ან თაღლითურად შესრულებულმა ტრანზაქციებმა, შესაძლოა, გამოიწვიოს ზარალი, რომლის ანაზღაურებაც რთული ან შეუძლებელი იქნება.



დეპოზიტის დაცვის არარსებობა

- **ციფრული აქტივები** არ არის გადახდის კანონიერი საშუალება და არ არის უზრუნველყოფილი არცერთი მთავრობისა თუ ბანკის მიერ, მათ შორის, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ.
- **კრიპტო-მოდულის** მეშვეობით შენახული **ციფრული აქტივები** არ არის დეპოზიტი, არ ითვლება საბანკო დეპოზიტად დეპოზიტების დაზღვევის ან დეპოზიტების გარანტიის სქემების მიზნებისთვის და, შესაძლოა, არ იყოს დაცული ინვესტორების ანაზღაურების სქემებით.

კასტოდიანის, ნომინალური მფლობელობისა და მესამე მხარის მიერ შენახვის რისკები

- თქვენ მიერ შეძენილი **ციფრული აქტივები** თქვენს საკუთრებას წარმოადგენს. ამასთან, ასეთი **ციფრული აქტივების** შენახვა და დაცვა ხორციელდება **ბანკის** მიერ, მათ შორის, მისი საკუთარი ინფრასტრუქტურის ან/და **ბანკის** მიერ ჩართული მესამე პირი კასტოდიანების, საფულეების ან ვირტუალური აქტივების მომსახურების პროვაიდერების მეშვეობით.
- თქვენ აცნობიერებთ, რომ კასტოდიანი მესამე მხარეების ან ინფრასტრუქტურის გამოყენებამ, შესაძლოა, გამოიწვიოს დამატებითი რისკები, მათ შორის, ოპერაციული შეფერხება, კიბერუსაფრთხოების ინციდენტები, მომსახურების მიმწოდებლების გადახდისუნარიანობა ან **ციფრულ აქტივებზე** წვდომის შეფერხება.
- თქვენ აცნობიერებთ, რომ **ციფრული აქტივები** შეიძლება აღირიცხოს **ბანკის** მიერ ნომინალურ მფლობელობაში ოპერაციული მიზნებისთვის, თუმცა ისინი თქვენი საკუთრება რჩება წინამდებარე **პირობების** შესაბამისად.

ბლოკჩეინის მოვლენები, ფორკები (Forks) და პროტოკოლის ცვლილებები

- **ციფრული აქტივები** მუშაობს განაწილებული რეესტრის ტექნოლოგიებზე (Distributed Ledger Technologies), რომლებიც შეიძლება დაექვემდებაროს ცვლილებებს, მოვლენებს ან შეფერხებებს **ბანკის** კონტროლის მიღმა, მათ შორის, ჰარდ-ფორკები (hard forks), სოფტ-ფორკები (soft forks), პროტოკოლის განახლებები, ქსელის გაყოფები, რედენომინაციები, ეარდროპები ან მსგავსი მოვლენები („**ბლოკჩეინის მოვლენები**“).
- **ბანკი** არ არის ვალდებული, მხარი დაუჭიროს, ხელი შეუწყოს, დააკრედიტოს, განათავსოს ან სხვაგვარად აღიაროს ნებისმიერი **ციფრული აქტივი**, განშტოებული აქტივი, წარმოებული აქტივი ან უფლება, რომელიც წარმოიშობა **ბლოკჩეინის მოვლენის** შედეგად. **ბლოკჩეინის მოვლენის** დამუშავება, მათ შორის, მხარდაჭერილია თუ არა (და არსებობის შემთხვევაში როგორ ხდება ფუნქციონირება) ის **კრიპტო-მოდულში**, განისაზღვრება **ბანკის** მიერ მისი შეხედულებისამებრ, საოპერაციო, სამართლებრივი, მარეგულირებელი, რისკების მართვისა და მესამე მხარის შეზღუდვების გათვალისწინებით.



- თქვენ აცნობიერებთ, რომ **ბლოკჩეინის მოვლენებმა**, შესაძლოა, გამოიწვიოს ღირებულების დაკარგვა, ლიკვიდურობის შემცირება, დაყოვნება, ტრანზაქციების შეჩერება ან ხსენებული გავლენის ქვეშ არსებული **ციფრული აქტივების** მუდმივი მიუწვდომლობა, და რომ **ბანკი** არ იქნება პასუხისმგებელი ამ მოვლენებთან დაკავშირებით წარმოშობილ ზიანზე.

საოპერაციო და ტექნოლოგიური რისკები

- **კრიპტო-მოდული** ეყრდნობა კომპლექსურ სისტემებს, პროგრამულ უზრუნველყოფას, აპარატურას, საკომუნიკაციო ქსელებსა და მესამე მხარის ინფრასტრუქტურას. შესაძლოა, მოხდეს ტექნიკური შეფერხებები, მათ შორის, გათიშვები, შეფერხებები, სისტემური შეცდომები, ტექნიკური შეჩერებები და შეფერხებები.
- შესაძლოა, ვერ შეძლოთ **კრიპტო-მოდულზე** წვდომა ან ტრანზაქციების შესრულება თქვენი მოწყობილობის, ოპერაციული სისტემის, **მობილური ბანკის** აპლიკაციის, ინტერნეტთან კავშირის, მობილური ქსელის ან მესამე მხარის მომსახურებების შეფერხების გამო.
- სისტემის პრობლემებმა, შესაძლოა, გამოიწვიოს შესრულების შეფერხება, ნაშთების არასწორი ჩვენება, დავალებების განთავსების შეუძლებლობა, დამუშავების შეფერხება ან შეწყვეტა.
- **ბანკი** არ იძლევა **კრიპტო-მოდულის** შეუფერხებელი, დროული, უსაფრთხო ან შეცდომის გარეშე მუშაობის გარანტიას და უარს ამბობს პასუხისმგებლობაზე მოქმედი კანონმდებლობით დაშვებულ მაქსიმალურ ფარგლებში.

კიბერუსაფრთხოება, თაღლითობა და უნებართვო წვდომის რისკები

- **ციფრული აქტივები** ექვემდებარება კიბერუსაფრთხოების გაზრდილ რისკებს, მათ შორის, ჰაკერულ თავდასხმებს, მავნე პროგრამულ უზრუნველყოფას, ფიშინგს, პირადი მონაცემების მოპარვას, SIM-ბარათის შეცვლას, სოციალურ ინჟინერიას, უნებართვო წვდომასა და თაღლითობის სხვა მცდელობებს.
- თქვენ ხართ პასუხისმგებელი თქვენი **მობილური ბანკის** წვდომის მონაცემების, მოწყობილობის უსაფრთხოების, პაროლების კონფიდენციალურობისა და ნებისმიერი ავტორიზაციის საშუალების დაცვაზე.
- **ბანკი** იყენებს დარგობრივ სტანდარტულ ავტორიზაციისა და უსაფრთხოების ზომებს, მათ შორის, ბიომეტრიულ ავტორიზაციასა და ერთჯერად პაროლებს (OTP), **მობილური ბანკისა** და **კრიპტო-მოდულის** წვდომის დასაცავად, თუმცა აცნობიერებს, რომ გამონაკლის შემთხვევებში შესაძლოა არსებობდეს უსაფრთხოების ნარჩენი რისკები.
- უნებართვო წვდომამ, შესაძლოა, გამოიწვიოს **ციფრული აქტივების** ან/და თანხების დაკარგვა, ხოლო აღდგენა, შესაძლოა, რთული ან შეუძლებელი იყოს.



ფუნქციონირების შეზღუდვები და გადარიცხვების აკრძალვა

- თქვენ აცნობიერებთ, რომ **კრიპტო-მოდული** მხოლოდ ყიდვა-გაყიდვის ტრანზაქციებს უზრუნველყოფს. **ციფრული აქტივების** გარე საფულებზე ან მესამე პირებზე გადაცემა (მათ შორის, თანხის გატანა ან გარე გადარიცხვა) შეუძლებელია.

მხარდაჭერილი აქტივები, სიიდან ამოღება და იძულებითი გაყიდვის რისკი

- **ციფრული აქტივების** ყიდვა-გაყიდვა ხელმისაწვდომია მხოლოდ **მობილურ ბანკში** ნაჩვენები მხარდაჭერილი **ციფრული აქტივებისთვის**. **ბანკს** შეუძლია დაამატოს, წაშალოს, შეზღუდოს ან შეწყვიტოს მხარდაჭერა ნებისმიერი **ციფრული აქტივისთვის** ნებისმიერ დროს, მათ შორის წინასწარი შეტყობინების გარეშე, თუ სხვა რამ არ არის მოთხოვნილი მოქმედი კანონმდებლობით. აღნიშნულ სიაში ცვლილებების შეტანის წესები განსაზღვრულია ამ **პირობებით**.

მარეგულირებელი, სამართლებრივი, სანქციებისა და შესაბამისობის რისკები

- **ციფრული აქტივები** და მასთან დაკავშირებული მომსახურებები შესაძლებელია იყოს სამართლებრივად განუჭვრეტელი და, ამასთანავე, მარეგულირებლის მოთხოვნა იყოს ორაზროვანი. კანონმდებლობის, რეგულაციების, სანქციების, **AML/CFT** წესების, საგადასახადო პრაქტიკის ან მარეგულირებელი ცვლილებების მოლოდინებმა, შესაძლოა, შეზღუდოს, შეაჩეროს ან აკრძალოს ვაჭრობა გარკვეულ **ციფრულ აქტივებში** ან შეზღუდოს წვდომა **კრიპტო-მოდულზე**.

დაბეგვრის რისკი და თქვენი პასუხისმგებლობა

- **ციფრული აქტივებისა** და **ციფრულ აქტივებთან** დაკავშირებული ტრანზაქციების საგადასახადო რეჟიმი შეიძლება განსხვავდებოდეს თქვენი პირადი გარემოებებიდან გამომდინარე და შეიძლება დროთა განმავლობაში შეიცვალოს. **ბანკი** არ უზრუნველყოფს საგადასახადო კონსულტაციას და არ აფასებს ან განსაზღვრავს **კრიპტო-მოდულის** მეშვეობით შესრულებული ნებისმიერი ტრანზაქციის საგადასახადო შედეგებს.
- თქვენ ხართ პასუხისმგებელი ნებისმიერი მოქმედი გადასახადის, ბაჟის ან მოსაკრებლის განსაზღვრაზე, ანგარიშგებაზე და გადახდაზე, რომელიც წარმოიშობა **ციფრული აქტივების** შეძენის, შენახვის, გადაცემის ან განკარგვის შედეგად, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

**პასუხისმგებლობის უარყოფა:**

- ჩვენ არ ვუჭერთ მხარს, არ გირჩევთ და არ ვიძლევით გარანტიას კონკრეტული ვირტუალური აქტივის, ტრანზაქციის, პროტოკოლის ან სტრატეგიის ეფექტურობაზე. ნებისმიერი სასწავლო ან საინფორმაციო კონტენტი განკუთვნილია მხოლოდ ზოგადი ინფორმაციის მიღებისთვის და არ წარმოადგენს რაიმე სახის რჩევას.

კონკრეტული აქტივებისთვის შეფასების არარსებობა:

- რისკების შესახებ ეს ინფორმაცია ზოგადია და არ შეიცავს რისკების შეფასებას ან ინფორმაციას თითოეულ კონკრეტულ ციფრულ აქტივთან დაკავშირებით, რომელიც ხელმისაწვდომია **კრიპტო-მოდულის** მეშვეობით. **ბანკი** არ გასცემს **ციფრულ აქტივებთან** დაკავშირებულ კონკრეტულ რჩევებს, რეკომენდაციებს, ანალიზებსა თუ შესაფერისობის შეფასებებს.

მონიტორინგისა თუ ჩარევის ვალდებულების არქონა:

- ბანკი** არ არის ვალდებული, განახორციელოს საბაზრო მოვლენების, ფასების ცვლილებების ან თქვენთვის ნებისმიერი ციფრული აქტივის შესაბამისობის მონიტორინგი; ასევე, არ არის ვალდებული, გაგაფრთხილოთ, გირჩიოთ ან ჩაერიოს **კრიპტო-მოდულის** მეშვეობით განხორციელებულ ნებისმიერ ტრანზაქციასა თუ პოზიციასთან დაკავშირებით. ტრანზაქციის დადების, შენარჩუნების ან დასრულების შესახებ გადაწყვეტილებას იღებთ მხოლოდ თქვენ.



1. განმარტებები

- 1.1. თუ სხვაგვარად არ არის განსაზღვრული ან კონტექსტიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს, ყველა ქვემოთ მოცემულ ტერმინს ენიჭება წინამდებარე **პირობებით** დადგენილი მნიშვნელობა:
- 1.1.1. „**ანგარიში**“ ან „**კრიპტო-ანგარიში**“ ნიშნავს თქვენს სახელზე **ბანკში** არსებულ ტექნიკურ და აღრიცხვის ანგარიშს, რომლის მეშვეობითაც თქვენ წარადგენთ დავალებას **კრიპტო-მოდულის** საშუალებით, რომელიც არ წარმოადგენს საბანკო ანგარიშს, სადეპოზიტო ანგარიშს ან საგადახდო ანგარიშს და გამოიყენება მხოლოდ თქვენი **ციფრული აქტივების** მფლობელობისა და მასთან დაკავშირებული ტრანზაქციების აღრიცხვისთვის წინამდებარე **პირობების** შესაბამისად;
- 1.1.2. „**AML/CTF და სანქციები**“ ნიშნავს **ბანკის** შესაბამის მოქმედ კანონებს, რეგულაციებს, შიდა პოლიტიკას, პროცედურებსა და მოთხოვნებს ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთისა და სანქციებთან დაკავშირებით, რომლებიც შეიძლება დროდადრო იქნას გამოყენებული, შესწორებული ან შევსებული, მათ შორის, ნებისმიერი **კლიენტზე** მიმართული პირობები, რომლებიც წინამდებარე **პირობებში** გათვალისწინებული იქნება მითითების სახით;
- 1.1.3. „**უფლებამოსილი პირი**“ ნიშნავს ნებისმიერ ფიზიკურ პირს, რომელიც მოქმედი კანონმდებლობისა და **ბანკის** პროცედურების შესაბამისად უფლებამოსილია თქვენი სახელით ისარგებლოს და ჰქონდეს წვდომა **მობილურ ბანკში**, და რომლის ქმედებებიც ჩაითვლება თქვენს ქმედებებად წინამდებარე **პირობების** მიზნებისთვის;
- 1.1.4. „**ბანკი**“ გულისხმობს სს „თიბისი ბანკს“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: 204854595); (საბანკო ლიცენზიის ნომერი: N85; ბანკის საზედამხებდველო ორგანოს წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ბანკი (მისამართი: სანაპიროს ქუჩა № 2, 0114, თბილისი, საქართველო), რომლის შესახებაც დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ ვებგვერდზე: www.nbg.gov.ge; გაეცანით მომხმარებელთათვის სასარგებლო ინფორმაციას საქართველოს ეროვნული ბანკის ვებ გვერდსა – www.nbg.gov.ge/cp და ცხელ ხაზზე – 032 2 406 406); საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დაარსებულ სააქციო საზოგადოებას, რომლის რეგისტრირებული მისამართია კ. მარჯანიშვილის ქუჩა №7, თბილისი, საქართველო, რომელიც **კრიპტო-მოდულის** მიზნებისათვის მოქმედებს, როგორც თქვენი **ციფრული აქტივების** ყიდვა-გაყიდვის ტრანზაქციების კონტრაპენტი (პრინციპალი). **ბანკის** საკონტაქტო ტელეფონის ნომერი: +995 32 2 27 27 27
- 1.1.5. „**საბანკო ანგარიში**“ ნიშნავს თქვენ მიერ **ბანკში** გახსნილ და მოქმედ ნებისმიერ აქტიურ მიმდინარე ანგარიშს, რომელიც რეგულირდება **ბანკსა** და თქვენ შორის გაფორმებული ცალკე ხელშეკრულებ(ებ)ით. თუ თქვენ გაქვთ ერთზე მეტი აქტიური



- მიმდინარე ანგარიში **ბანკში, ბანკი** უფლებამოსილია გამოიყენოს ნებისმიერი ასეთი ანგარიში წინამდებარე პირობების მიზნებისთვის, მათ შორის, **კრიპტო-მოდულის** მეშვეობით შესრულებულ ნებისმიერ ოპერაციასთან დაკავშირებული თანხების ანგარიშსწორების, ჩამოჭრისა და ჩარიცხვისთვის.
- 1.1.6. **„სამუშაო დღე“** ნიშნავს ნებისმიერ დღეს, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით სამუშაო დღეა, შაბათ-კვირისა და საქართველოში ნებისმიერი ოფიციალური დღესასწაულის (არასამუშაო დღეების) გამოკლებით.
- 1.1.7. **„შესყიდვის დავალება“** ნიშნავს თქვენ მიერ **მობილური ბანკის კრიპტო-მოდულის** მეშვეობით წარდგენილ ინსტრუქციას **ბანკისგან** მხარდაჭერილი **ციფრული აქტივის** განსაზღვრული ოდენობის შესაძენად, **კრიპტო-მოდულში** ნაჩვენები შესაბამისი შეთავაზებული შესყიდვის ფასით, თქვენ მიერ ტრანზაქციის დადასტურების დროს. წინამდებარე **პირობები** ვრცელდება შესყიდვის **დავალების** შესრულების წესზე.
- 1.1.8. **„კლიენტი“** ნიშნავს ნებისმიერ ფიზიკურ პირს, რომელიც რეგისტრირებულია **ბანკში მობილური ბანკით** სარგებლობისა და **კრიპტო-მოდულზე** წვდომის მიზნით, და ნებისმიერ უფლებამოსილ პირს, რომელიც მოქმედებს მათი სახელით.
- 1.1.9. **„კრიპტო-მოდული“** ნიშნავს **მობილური ბანკის** აპლიკაციაში ინტეგრირებულ ფუნქციონალს, რომელიც საშუალებას გაძლევთ, შექმნათ და განათავსოთ ყიდვისა და გაყიდვის დავალებები მხარდაჭერილ **ციფრულ აქტივებთან** დაკავშირებით და ნახოთ ინფორმაცია თქვენი **ციფრული აქტივების** მფლობელობასა და ტრანზაქციების ისტორიასთან დაკავშირებით, თითოეულ შემთხვევაში, წინამდებარე **პირობების**, მოქმედი ლიმიტებისა და ტექნიკური ხელმისაწვდომობის გათვალისწინებით.
- 1.1.10. **„ციფრული აქტივები“ / „ვირტუალური აქტივები“** ნიშნავს ღირებულების ციფრულ გამოსახულებას, რომელიც არის ურთიერთჩანაცვლებადი და არ არის უნიკალური, შესაძლებელია მისი გადაცემა ან გაყიდვა ციფრულ ფორმაში და გამოიყენება ან განკუთვნილია საინვესტიციო ან/და გადახდის მიზნებისთვის. ყოველგვარი ეჭვის თავიდან გამოსარიცხად, **ვირტუალური აქტივი** არ მოიცავს ფულადი თანხების, ფასიანი ქაღალდების ან სხვა ფინანსური ინსტრუმენტების ციფრულ წარმოდგენას.
- 1.1.11. **„ფულადი სახსრები“ (Fiat Money)** ნიშნავს მთავრობის მიერ გამოშვებულ ვალუტას, რომელსაც მხარს უჭერს მთავრობა და რომელიც გამოშვების ქვეყანაში საკანონმდებლო დონეზე განისაზღვრება, როგორც გადახდის კანონიერი საშუალება.
- 1.1.12. **„ხელშეკრულება ფიზიკური პირის საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ“** გულისხმობს **კლიენტსა** და **ბანკს** შორის დადებულ გენერალურ ხელშეკრულებას ფიზიკური პირის საბანკო მომსახურების გაწევის შესახებ, რომლის ამჟამინდელი ვერსია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე www.tbcbank.ge, მისი პირობების შესაბამისად დროდადრო შესწორებული, დამატებული ან ჩანაცვლებული სახით.
- 1.1.13. **„სამთავრობო ორგანო“** ნიშნავს ნებისმიერ ქვეყანას ან მთავრობას, ან ნებისმიერ პროვინციას ან შტატს, ან მათ ნებისმიერ სხვა პოლიტიკურ ქვედანაყოფს, ან



ნებისმიერ სუბიექტს, ორგანოს ან ორგანიზაციას, რომელიც ახორციელებს მთავრობის აღმასრულებელ, საკანონმდებლო, სასამართლო, მარეგულირებელ ან ადმინისტრაციულ ფუნქციებს, მათ შორის, საქართველოს ეროვნულ ბანკს ან ნებისმიერ სამთავრობო ორგანოს, სააგენტოს, დეპარტამენტს, საბჭოს, კომისიას ან დაწესებულებას ან მათ ნებისმიერ პოლიტიკურ ქვედანაყოფს, ნებისმიერ სასამართლოს, ტრიბუნალს ან არბიტრაჟს და ნებისმიერ თვითრეგულირებად ორგანიზაციას.

- 1.1.14. **„მასალა“** ნიშნავს ნებისმიერ შეთავაზების დოკუმენტებს, პირობების დოკუმენტს, საბაზრო მონაცემებს, კვლევის ანგარიშს, პროდუქტის ან მომსახურების დოკუმენტაციას ან **კრიპტო-მოდულის** ან **მობილური ბანკის** მეშვეობით მოწოდებულ ნებისმიერ სხვა ინფორმაციას, რომელიც მოწოდებულია მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და არ წარმოადგენს რჩევას, რეკომენდაციას ან განცხადებას.
- 1.1.15. **„მობილური ბანკი“** გულისხმობს სს „თიბისი ბანკის“ მიერ მოწოდებულ **მობილური ბანკის** აპლიკაციას;
- 1.1.16. **„დავალება“** გულისხმობს ნებისმიერ **შესყიდვის დავალებას** ან/და **გაყიდვის დავალებას**;
- 1.1.17. **„პერსონალური ინფორმაცია“** გულისხმობს თქვენ მიერ მოწოდებულ ინფორმაციას, რომლიდანაც შესაძლებელია თქვენი ვინაობის პირდაპირი ან არაპირდაპირი დადგენა.
- 1.1.18. **„გაყიდვის დავალება“** გულისხმობს თქვენ მიერ **მობილური ბანკის კრიპტო-მოდულის** მეშვეობით წარდგენილ დავალებას, რომ მიყიდოთ **ბანკს** მხარდაჭერილი **ციფრული აქტივის** განსაზღვრული ოდენობა, **კრიპტო-მოდულში** ნაჩვენები გაყიდვის ფასით, რომელიც მოქმედია თქვენ მიერ ტრანზაქციის (მათ შორის, ნებისმიერი მოქმედი გადასახადის, საკომისიოს და/ან სპრედის ჩათვლით) დადასტურების დროს და რაც ექვემდებარება **ბანკის** მიერ მის მიღებასა და შესრულებას წინამდებარე **პირობების** შესაბამისად.
- 1.1.19. **„მომსახურება“** გულისხმობს მომსახურებებს, რომლებსაც **ბანკი** გთავაზობთ ამ **პირობების** შესაბამისად, **კრიპტო-მოდულთან** დაკავშირებით, მათ შორის, შესყიდვისა და გაყიდვის დავალებების განთავსებისა და ტრანზაქციების შესრულების შესაძლებლობას **მობილური ბანკის** მეშვეობით.
- 1.1.20. **„სერვისის შეტყობინებები“** არის ცალმხრივი შეტყობინებები **ბანკისგან** (რომლებიც შეიძლება მოიცავდეს უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ შეტყობინებებს) ტექსტური შეტყობინების ან ელფოსტის მეშვეობით და, საჭიროების შემთხვევაში, **მობილური ბანკის** მეშვეობით push-შეტყობინებების სახით. ეს შეტყობინებები იგზავნება თქვენთან იმ ანგარიშთან დაკავშირებული გარკვეული ინფორმაციის ან მოვლენების შესახებ, რომელზეც **კლიენტს** აქვს წვდომა **მობილური ბანკის** მეშვეობით.
- 1.1.21. **„პირობები“** გულისხმობს წინამდებარე წესებსა და პირობებს, რომლებიც არეგულირებს **კრიპტო-მოდულის** გამოყენებას, ასევე, **ბანკსა** და თქვენ შორის



დადებულ **ხელშეკრულებას ფიზიკური პირის საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ**, ბანკის კონფიდენციალურობის პოლიტიკას, **მობილური ბანკის** გამოყენების პირობებსა და ნებისმიერ დანართს, გრაფიკს, დამატებას ან/და სხვა დოკუმენტს, რომელიც წინამდებარე დოკუმენტში გაერთიანებულია მითითების სახით ან ხელმისაწვდომი **გახდა მობილური ბანკის** მეშვეობით, თითოეულ შემთხვევაში, შესაბამისი პირობების მიხედვით დროდადრო შესწორებული, დამატებული ან ჩანაცვლებული სახით.

1.1.22. „**მომსახურების მიწოდებელი მესამე მხარე**“ ნიშნავს ნებისმიერ მესამე მხარეს, რომელიც **ბანკის** მიერ პირდაპირ ან არაპირდაპირ არის ჩართული **კრიპტო-მოდულთან** დაკავშირებული მომსახურებების უზრუნველყოფაში, მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, **ვირტუალური აქტივების** გაცვლა, საბროკერო მომსახურება, ლიკვიდურობის უზრუნველყოფა, ფასწარმოქმნა, შესრულება, ანგარიშსწორება, კლირინგი, კასტოდიანური მომსახურება, საფულე (ცხელი ან ცივი შენახვა), გასაღების მართვა, ტრანზაქციების დამუშავება, ბლოკჩეინთან ურთიერთქმედება, შესაბამისობის შემოწმება, მონიტორინგი, ანალიტიკა, ანგარიშგება, ტექნოლოგია, ინფრასტრუქტურა, უსაფრთხოება ან სხვა ოპერაციული ან დამხმარე მომსახურებები, იმის მიუხედავად, ხდება თუ არა ამ მომსახურებების მიწოდება ცალკე ან ინტეგრირებული მომსახურების შეთანხმების ფარგლებში, იმ პირობით, რომ ასეთი **მომსახურების მიწოდებელი მესამე მხარე** მოქმედებს მხოლოდ **ბანკის** და არა თქვენი სახელით.

1.1.23. „**ტრანზაქცია**“ ნიშნავს ნებისმიერ **შესყიდვის ან გაყიდვის დავალებას**, რომელიც განთავსებულია, შესრულებულია ან სხვაგვარად დამუშავებულია **კრიპტო-მოდულის** მეშვეობით წინამდებარე **პირობების** ფარგლებში.

1.1.24. „**საფულე**“ გულისხმობს ვირტუალური (კრიპტო) აქტივების საფულეს, რომელსაც აწარმოებს **ბანკი** ან/და **ბანკის** მიერ დანიშნული **მომსახურების მიწოდებელი მესამე მხარე კრიპტო-მოდულში ვირტუალური აქტივების** შენახვისა და დაცვის მიზნით, რომელიც არ არის განკუთვნილი თქვენ მიერ **ვირტუალური აქტივების** გარე გადარიცხვებისა თუ გატანის მხარდასაჭერად ან შესაძლებლობის დასაშვებად, გარდა წინამდებარე **პირობებით** პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევებისა.

1.2. თუ კონტექსტიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს, წინამდებარე **პირობებზე** ვრცელდება ინტერპრეტაციის შემდეგი წესები:

1.2.1. თუ არსებობს რაიმე შეუსაბამობა წინამდებარე **პირობებსა** და შესაბამის საბაზრო წესებს შორის, საბაზრო წესებს უპირატესობა უნდა მიენიჭოს მხოლოდ ტრანზაქციების შესრულებასთან, ანგარიშსწორებასთან ან საოპერაციო მექანიზმებთან დაკავშირებით, ასეთი შეუსაბამობის ფარგლებში.

1.2.2. პუნქტების სათაურები და ნებისმიერი შენიშვნა მოცემულია მხოლოდ სიმარტივისთვის და არ იმოქმედებს წინამდებარე **პირობების** განმარტებაზე ან ინტერპრეტაციაზე.



- 1.2.3. ეს პირობები მოიცავს მათ გრაფიკებს, დანართებს, დამატებებს, ჩანართებსა და მასალებს, რომელთაგან თითოეული წარმოადგენს ამ პირობების განუყოფელ ნაწილს.
- 1.2.4. მითითება ნებისმიერ ხელშეკრულებაზე ან დოკუმენტზე (მათ შორის, წინამდებარე **პირობებზე**) მოიცავს მის ნებისმიერ ცვლილებას, დამატებას, განახლებას ან ჩანაცვლებას.
- 1.2.5. მითითება ნებისმიერ კანონზე, დებულებაზე, რეგულაციაზე ან სხვა აქტზე მოიცავს მის ნებისმიერ ცვლილებას, შესწორებას, კონსოლიდაციას, ხელახლა ძალაში შესვლას ანუ ჩანაცვლებას, ასევე, მის საფუძველზე მიღებულ ნებისმიერ კანონქვემდებარე აქტს.

2. შესაბამისობა

- 2.1. თქვენ უნდა იყოთ მინიმუმ 18 წლის და გქონდეთ სრული ქმედუნარიანობა, რათა დაეთანხმოთ წინამდებარე **პირობებს** და გამოიყენოთ/დააკმაყოფილოთ ყველა უფლება, ვალდებულება, განცხადება და გარანტია, რომლებიც გათვალისწინებულია მასში. **კრიპტო-მოდულზე** წვდომა და მისი გამოყენება ხელმისაწვდომია მხოლოდ იმ მომხმარებლებისთვის, რომლებსაც აქვთ აქტიური **საბანკო ანგარიში** და არიან **მობილური ბანკის** აქტიური მომხმარებლები, **ბანკის** მოქმედი წესებისა და პირობების შესაბამისად.
- 2.2. **კრიპტო-მოდულის** გამოყენება შეგიძლიათ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს ნებადართულია თქვენი მუდმივი საცხოვრებელი ქვეყნის ან/და მოქალაქეობის ქვეყნის კანონმდებლობითა და რეგულაციებით.
- 2.3. თქვენ აცხადებთ და იძლევით გარანტიას, რომ არ ხართ შეზღუდული პირი ("Restricted Person"). წინამდებარე **პირობების** მიზნებისათვის, „შეზღუდული პირები“ ნიშნავს ნებისმიერ ფიზიკურ პირს, რომელიც: ცხოვრობს, რეგისტრირებულია ან არის ჩრდილოეთ კორეის ან ირანის მოქალაქე; რუსეთის; ბელარუსის ან აშშ-ს მოქალაქე („U.S. Person“), როგორც ეს განსაზღვრულია 1933 წლის ამერიკის შეერთებული შტატების ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონის S რეგულაციით, მასში დროდადრო შეტანილი ცვლილებების შესაბამისად. შეზღუდული პირები არ არიან უფლებამოსილი, გამოიყენონ **კრიპტო-მოდული** ან კრიპტოსთან დაკავშირებული ნებისმიერი მომსახურება.
- 2.4. **კრიპტო-მოდულზე** წვდომა ექვემდებარება რეგისტრაციას, ვერიფიკაციასა და შესაბამისობის მიმდინარე შემოწმებებს. თქვენ თანახმა ხართ, მოგვანოდოთ სრული, ზუსტი და განახლებული ინფორმაცია და დაუყოვნებლივ შეატყობინოთ **ბანკს** ამ ინფორმაციის ნებისმიერი ცვლილების შესახებ. **ბანკი** ითვებს უფლებას, გონივრულად და მოქმედი კანონმდებლობის ან/და შიდა პოლიტიკის შესაბამისად, დაამტკიცოს, უარყოს, შეაჩეროს ან შეწყვიტოს წვდომა **კრიპტო-მოდულზე**, მათ შორის, როდესაც ეს საჭიროა შესაბამისობის, რისკების მართვის ან მარეგულირებელი მიზნებიდან გამომდინარე.



- 2.5. **კრიპტო-მოდულზე** წვდომისა და მისი გამოყენების უფლების კრიტერიუმები დროდადრო შეიძლება შეიცვალოს **ბანკის** მიერ წინამდებარე **პირობების** შესაბამისად. ნებისმიერი ასეთი ცვლილება შეიძლება დაუყოვნებლივ შევიდეს ძალაში, თუ ამას მოითხოვს მოქმედი კანონი ან/და მარეგულირებელი მოთხოვნები ან/და **მომსახურების მიმწოდებელი მესამე პირის** მოთხოვნები.

3. ქსელზე წვდომა და კავშირი

- 3.1. **მობილური ბანკისა** და **კრიპტო-მოდულის** გამოყენება ექვემდებარება თქვენი მობილური ან ინტერნეტ მომსახურების პროვაიდერის პირობებს. თქვენ ხართ პასუხისმგებელი ნებისმიერი შესაძლო მონაცემებისა მიმოცვლისა თუ კავშირის საფასურის გადახდაზე. თქვენ ვალდებული ხართ უზრუნველყოთ, რომ **მობილურ ბანკსა** და **კრიპტო-მოდულს** იყენებდეთ უსაფრთხო, საიმედო და სათანადოდ მოწყობილი ინტერნეტ კავშირით, რომელიც შესაფერისია ციფრული ფინანსური მომსახურებების გამოსაყენებლად. თუ თქვენ არ ხართ გამოყენებული მოწყობილობის საფასურის გადამხდელი, თქვენ ადასტურებთ, რომ გაქვთ მისი გამოყენების ნებართვა და რომ თქვენი წვდომა შეესაბამება თქვენი მომსახურების პროვაიდერის პირობებს.
- 3.2. თქვენ აცნობიერებთ, რომ ინტერნეტზე დაფუძნებული და მობილური სისტემების გამოყენება მოიცავს დამახასიათებელ რისკებს, მათ შორის, აპარატურის, პროგრამული უზრუნველყოფის, მოწყობილობების ან ინტერნეტ კავშირების შეფერხებებსა თუ გაუმართაობებს, ასევე, შეფერხებებს, შეწყვეტებს, შეცდომებს, კიბერინციდენტებსა თუ უნებართვო წვდომას. ამგვარმა რისკებმა, შესაძლოა, გამოიწვიოს **მობილური ბანკის** ან **კრიპტო-მოდულის** დროებითი მიუწვდომლობა, გაუმართაობა ან შეფერხება. თქვენ ეთანხმებით წინამდებარე რისკებს და აღიარებთ, რომ ისინი **ბანკის** გონივრულ კონტროლს სცდება.

4. ინტელექტუალური საკუთრება

- 4.1. ინტელექტუალური საკუთრების ყველა უფლება, მათ შორის, თუმცა არა მხოლოდ, საავტორო უფლებები, სასაქონლო ნიშნები, მომსახურების ნიშნები, სავაჭრო სახელწოდებები, დომენის სახელები, პროგრამული კოდი, მონაცემთა ბაზები, მომხმარებლის ინტერფეისები, დიზაინები, განლაგებები, ლოგოები, გრაფიკა, სავაჭრო საიდუმლოებები და ნოუ-ჰაუ (ერთობლივად „**ინტელექტუალური საკუთრება**“), რომელიც დაკავშირებულია **კრიპტო-მოდულთან**, კრიპტოსთან დაკავშირებულ ძირითად მომსახურებებთან და მასთან დაკავშირებულ ნებისმიერ ტექნოლოგიასთან ან მასალასთან, ეკუთვნის **ბანკს**, მის შვილობილ კომპანიებს ან მის ლიცენზიარებს. წინამდებარე **პირობებში** არცერთი დებულება არ განიჭებთ რაიმე უფლებას, საკუთრების უფლებას ან ინტერესს ნებისმიერ ინტელექტუალურ საკუთრებაზე, გარდა შეზღუდული უფლებისა, გამოიყენოთ **კრიპტო-მოდული** მხოლოდ წინამდებარე **პირობების** შესაბამისად.



- 4.2. წინამდებარე **პირობების** დაცვით, თქვენ გენიჭებათ შეზღუდული, არაექსკლუზიური, არაგადაცემადი, გაუქმებადი ლიცენზია **კრიპტო-მოდულზე** წვდომისა და მისი გამოყენებისთვის მხოლოდ პირადი და კანონიერი მიზნებისთვის **მობილური ბანკის** მეშვეობით. ყველა უფლება, რომელიც თქვენთვის ცალსახად არ არის მონიჭებული, დაცულია **ბანკისა** და მისი ლიცენზიარების მიერ.
- 4.3. თქვენ თანახმა ხართ, რომ არც პირდაპირ და არც არაპირდაპირ:
- 4.3.1. არ მოახდენთ **კრიპტო-მოდულის** ან მასთან დაკავშირებული მომსახურებების რომელიმე ნაწილის კოპირებას, მოდიფიკაციას, ადაპტირებას, რეპროდუცირებას, თარგმნას ან მათგან წარმოებული ნაწარმოებების შექმნას;
 - 4.3.2. არ მოახდენთ უკუპროექტირებას, დეკომპილაციას, დაშლას ან სხვაგვარად არ შეეცდებით **კრიპტო-მოდულის** საწყისი კოდის ან ძირითადი სტრუქტურის აღმოჩენას;
 - 4.3.3. არ წაშლით, დაფარავთ ან შეცვლით საავტორო უფლებებს, სასაქონლო ნიშანს ან საკუთრების შესახებ შეტყობინებებს;
 - 4.3.4. არ გამოიყენებთ ნებისმიერ **ინტელექტუალურ საკუთრებას** კომერციული მიზნებისთვის ან **ბანკის** მხრიდან მხარდაჭერის, მასთან კავშირის ან სპონსორობის მითითებით;
 - 4.3.5. წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე არ მოახდენთ, **კრიპტო-მოდულის** მეშვეობით ხელმისაწვდომი მონაცემების, შინაარსის ან მასალების მოპოვებას, ამოღებას ან ხელახლა გამოყენებას.

5. ანგარიში და ანგარიშის უსაფრთხოება

- 5.1. **კრიპტო-მოდულზე** და მასთან დაკავშირებულ მომსახურებებზე წვდომისა და მათი გამოყენებისთვის, თქვენ უნდა:
- 5.1.1. გქონდეთ აქტიური **საბანკო ანგარიში ბანკში**;
 - 5.1.2. გქონდეთ მოქმედი წვდომა **მობილური ბანკის** აპლიკაციაზე; და
 - 5.1.3. დაასრულოთ **კრიპტო-მოდულისთვის** რეგისტრაციის პროცესი **ბანკის** მოთხოვნების შესაბამისად.
- მობილური ბანკის** ხელმისაწვდომობა და გამოყენება რეგულირდება მხოლოდ თქვენსა და სს „თიბისი ბანკს“ შორის მოქმედი ხელშეკრულებებით. თუ რაიმე მიზეზით დაკარგავთ წვდომას **მობილურ ბანკზე** (მათ შორის, შეჩერების, შეზღუდვის, ტექნიკური მიუწვდომლობის ან შეწყვეტის გამო), **კრიპტო-მოდულზე** წვდომა ავტომატურად შეჩერდება, სანამ არ აღდგება აღნიშნული წვდომა.
- 5.2. **ანგარიში** გამოიყენება მხოლოდ თქვენს საკუთრებაში არსებული **ციფრული აქტივების** აღსარიცხად და **კრიპტო-მოდულის** მეშვეობით ტრანზაქციების შესასრულებლად. აღნიშნული **ანგარიში** არ წარმოადგენს **საბანკო ანგარიშს**. **ანგარიშზე** განთავსებული **ციფრული აქტივები** არ წარმოადგენს დეპოზიტებს, დანაზოგებს ან სხვა რეგულირებად ფინანსურ პროდუქტებს და არ არის დაზღვეული ან გარანტირებული რომელიმე სახელმწიფო ორგანოს მიერ. **ანგარიშზე** არსებულ ციფრულ აქტივებს არ დაერიცხება



საპროცენტო სარგებელი. ყოველგვარი ეჭვის გამორიცხვის მიზნით, **ანგარიშზე** შესაძლებელია მხოლოდ **ციფრული აქტივების** შენახვა. **ფულადი სახსრების** ამ **ანგარიშზე** შეტანა ან შენახვა დაუშვებელია. **ანგარიში** არ წარმოშობს მოვალისა და კრედიტორის ურთიერთობას **ბანკსა** და თქვენ შორის **ციფრულ აქტივებთან** დაკავშირებით.

- 5.3. თქვენ პასუხისმგებელი ხართ **მობილურ ბანკთან** და **კრიპტო-მოდულთან** ხართ დაკავშირებული წვდომის მონაცემების, პაროლებისა ნებისმიერი სხვა ავტორიზაციის საშუალების დაცვაზე, ასევე, ანგარიშის მონიტორინგზე ნებისმიერი არავტორიზებული აქტივობის გამოსავლენად. თქვენი მონაცემების გამოყენებით მესამე პირის მიერ **ანგარიშზე** ნებისმიერი წვდომა ან მისი გამოყენება ჩაითვლება ნამდვილად, ავტორიზებულად და თქვენთვის სავალდებულო ძალის მქონედ და იქნება თქვენი პირადი რისკი, იმისდა მიუხედავად, წარმოიშვა თუ არა ასეთი წვდომა თაღლითობის, შეცდომის, დაუდევრობის ან უსაფრთხოების დარღვევის შედეგად, რომელიც არ არის **ბანკის** ბრალი. თუ თქვენი ავტორიზაციის მონაცემები დაიკარგება, მოიპარავენ ან საფრთხის ქვეშ დადგება, დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოთ **ბანკს** ყოველგვარი შეფერხების გარეშე, წინამდებარე **პირობებში** მითითებული საკონტაქტო არხების გამოყენებით. თუ **ბანკი** გონივრულად მიიჩნევს, რომ **ანგარიში** გატეხილია კიბერუსაფრთხოების ან უსაფრთხოების ინციდენტის გამო, ან რომ უწყვეტმა წვდომამ შეიძლება შექმნას უსაფრთხოების, საოპერაციო, შესაბამისობის ან მარეგულირებელი რისკი, ის იტოვებს უფლებას (მაგრამ არა ვალდებულებას), მიიღოს დაუყოვნებელი დამცავი ზომები, მათ შორის, წინასწარი შეტყობინების გარეშე შეზღუდოს **ანგარიშზე** წვდომა.
- 5.4. **ბანკი** უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს, საკუთარი შეხედულებისამებრ და წინასწარი შეტყობინების გარეშე, შეზღუდოს, შეაჩეროს ან შეწყვიტოს თქვენი წვდომა **მობილურ ბანკზე** ან/და **კრიპტო-მოდულზე**, წინასწარი შეტყობინებით ან მის გარეშე, თუ ასეთი ქმედება სავალდებულოა ან **ბანკის** მიერ მიჩნეულია აუცილებლად მოქმედი კანონმდებლობის, მარეგულირებელი მოთხოვნების, **სანქციების**, **AML/CFT** ვალდებულებების, რისკების მართვის ან უსაფრთხოების შიდა პოლიტიკებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, საოპერაციო მიზეზების დაცვისთვის, ან **ბანკის**, თქვენი ან მესამე პირების რეალური ან პოტენციური ზიანის თავიდან ასაცილებლად.
- 5.5. თქვენ აცნობიერებთ, რომ:
- 5.5.1. ფასები, მონაცემები და შესრულების დადასტურებები შეიძლება მოწოდებული იყოს მომსახურების მიმწოდებელი მესამე მხარეების მიერ და შეიძლება იყოს დაყოვნებული ან შეუსაბამო;
- 5.5.2. **ბანკი** ეყრდნობა მომსახურების მიმწოდებელ მესამე მხარეებს გარკვეული მონაცემების, ფასების, შესრულების, ანგარიშსწორებისა და ტექნიკური მომსახურებისთვის და არ აკონტროლებს ამ ინფორმაციის დროულობას, სისრულესა თუ სიზუსტეს.
- 5.5.3. **ბანკი** არ არის პასუხისმგებელი ტექნიკური, სისტემასთან დაკავშირებული ან მესამე მხარის პრობლემების შედეგად გამოწვეულ ზარალზე იმდენად,



რამდენადაც ეს პრობლემები არ ექვემდებარება **ბანკის** გონივრულ კონტროლს, მათ შორის **მობილური ბანკის** მოძველებული ან მხარდაუჭერელი ვერსიების გამოყენებას.

5.5.4. ტრანზაქცია ჩაითვლება შესრულებულად, საბოლოოდ და სავალდებულოდ მხოლოდ **კრიპტო-მოდულის** მეშვეობით ხელმისაწვდომი გარიგების დადასტურების გაცემის შემდეგ.

5.5.5. შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს სისტემის შეფერხებებს, კავშირის პრობლემებს, გადაცემის შეფერხებებს ან ტექნიკურ შეცდომებს.

ბანკი არ არის პასუხისმგებელი ტექნიკური ან სისტემასთან დაკავშირებული პრობლემების შედეგად გამოწვეულ ზიანზე იმდენად, რამდენადაც ეს პრობლემები არ ექვემდებარება **ბანკის** გონივრულ კონტროლს, მათ შორის, **მობილური ბანკის** მოძველებული ან მხარდაუჭერელი ვერსიების გამოყენების შემთხვევაში. ტრანზაქცია შესრულებულად ჩაითვლება მხოლოდ **კრიპტო-მოდულის** მეშვეობით ხელმისაწვდომი გარიგების დადასტურების გაცემის შემდეგ.

5.6. თქვენ შეგიძლიათ მიიღოთ ინფორმაცია შესრულებული ტრანზაქციებისა და **ანგარიშზე** არსებული ნაშთების შესახებ **კრიპტო-მოდულის** მეშვეობით. ასეთი ჩანაწერები წარმოადგენს თქვენი ტრანზაქციების ოფიციალურ ჩანაწერს და სავალდებულოა ყველა მიზნისთვის, გარდა იმ შემთხვევისა, თუ სხვა რამ არ დადასტურდება მკაფიო და დამაჯერებელი მტკიცებულებებით. თქვენი მოთხოვნის საფუძველზე, **ბანკი** უზრუნველყოფს სტანდარტული ტრანზაქციის ამონაწერის ან **ანგარიშის** ამონაწერის გაცემას, ასეთი მოთხოვნის მიღებიდან არაუგვიანეს ხუთი (5) **სამუშაო დღის** განმავლობაში. ნებისმიერი არასტანდარტული, სპეციფიკური ან დამატებითი ინფორმაციის მოთხოვნა შეიძლება დაექვემდებაროს დამატებით გადასახადებს, რომლის შესახებ ინფორმაცია შეიძლება წინასწარ შეთანხმდეს ან დროდადრო გეცნობოთ.

5.6.1. ტრანზაქციების ისტორია, ამონაწერები და კომუნიკაციები არ წარმოადგენს შეფასებას. თქვენ აცნობიერებთ, რომ ზოგჯერ შეიძლება მოხდეს შეცდომები ინფორმაციის ჩვენებისას და რომ ამგვარი შეცდომები არ იძლევა გაუქმების, კომპენსაციის ან კორექტირების უფლებას და არ ახდენს გავლენას სათანადოდ შესრულებული ტრანზაქციების სამართლებრივ ვალიდურობასა თუ საბოლოო ხასიათზე.

5.6.2. ნებისმიერი ტრანზაქცია, რომელიც ნაჩვენებია ამონაწერებში ან შეტყობინებებში, ჩაითვლება ზუსტად, ავტორიზებულად და დადასტურებულად, თუ **ბანკი** არ მიიღებს თქვენგან წერილობით და სათანადოდ დასაბუთებულ პრეტენზიას ამ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის თარიღიდან სამი (3) კალენდარული დღის განმავლობაში.

5.7. თქვენ პასუხისმგებელი იქნებით ყველა ტრანზაქციაზე, რომელიც შესრულებდა **ანგარიშის** მეშვეობით თქვენი მონაცემების გამოყენებით, მათ შორის, არაუფლებამოსილი პირების მიერ შესრულებულ ტრანზაქციებზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ასეთი ტრანზაქციები პირდაპირ გამოწვეულია **ბანკის** უხეში გაუფრთხილებლობით ან განზრახვი ქმედებით.



6. სავაჭრო ოპერაციები, ფასები და დავალებების შესრულება

- 6.1. **კრიპტო-მოდული** წარმოადგენს **მობილურ ბანკში** ინტეგრირებული ფუნქციონალს, რომელიც საშუალებას გაძლევთ, **ბანკის** შეხედულებისამებრ, მოქმედი კანონმდებლობისა და წინამდებარე **პირობების** შესაბამისად, წარადგინოთ ინსტრუქციები **კრიპტო-მოდულის** მეშვეობით თქვენი საკუთარი **ანგარიშისთვის** მხარდაჭერილი **ციფრული აქტივების** შესაძენად და გასაყიდად. თუ მოქმედი კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, წინამდებარე **პირობებით** გათვალისწინებული მომსახურების მიწოდება წარმოადგენს **ბანკის** უფლებას და არა ვალდებულებას, და **ბანკს** შეუძლია გადაწყვიტოს, ხელმისაწვდომი გახადოს თუ არა **კრიპტო-მოდული** ან მისი რომელიმე ნაწილი, როდის და რა პირობებით.
- 6.2. **კრიპტო-მოდულის** მეშვეობით შესრულებული ტრანზაქციები ხორციელდება ფიქსირებული ფასის შესრულების საფუძველზე. **კრიპტო-მოდული** აჩვენებს ფასს, რომლითაც შესაძლებელია **ციფრული აქტივის** შეძენა ან გაყიდვა („**კოტირება**“). თითოეული **კოტირება** წარმოადგენს ფიქსირებულ ფასს, რომელიც შეზღუდული დროით არის თქვენთვის ხელმისაწვდომი **კრიპტო-მოდულის** მეშვეობით შესრულებისთვის.
- 6.2.1. თქვენ შეგიძლიათ დაადასტუროთ **კოტირება** ან თავი შეიკავოთ ტრანზაქციის შესრულებისგან. ყოველგვარი ეჭვის გამორიცხვის მიზნით, **ციფრული აქტივის** არჩევის ეტაპზე ნაჩვენები **კოტირება** წარმოადგენს მხოლოდ საინდიკაციო ფასს. **დავალების** განთავსებასა და მის შესრულებას შორის შესაძლო დროის შუალედის გამო, მათ შორის, თუმცა არა მხოლოდ, სისტემური დამუშავების დროისა და ბაზრის ცვლილებების გათვალისწინებით, **დავალების** საბოლოო დადასტურების ეტაპზე (როგორც ეს ნაჩვენებია დადასტურების გვერდზე, ტრანზაქციის შესრულებამდე) მითითებული **კოტირება** ჩაითვლება შესაბამის და სავალდებულო შესრულების ფასად.
- 6.2.2. **ბანკი**, საკუთარი შეხედულებისამებრ, განსაზღვრავს **კრიპტო-მოდულის** მეშვეობით ხელმისაწვდომ **კოტირებებს** ან უზრუნველყოფს **მომსახურების მიმწოდებელი მესამე მხარის** მეშვეობით ხელმისაწვდომი **კოტირებების** მიწოდებას. შესაბამისად, ასეთი კოტირებები შეიძლება განსხვავდებოდეს სხვა პლატფორმებზე, ბირჟებზე, ბროკერებთან ხელმისაწვდომი ფასებისგან ან არსებული საბაზრო ფასებისგან. შესაბამისად, ეს კოტირებები არ წარმოადგენს და არ არის განკუთვნილი საუკეთესო ხელმისაწვდომი საბაზრო ფასების წარმოსადგენად. ბანკი არ არის ვალდებული, თავისი კოტირებები მესამე პირების მიერ შემოთავაზებულ ფასებთან ან გარე საბაზრო ნიშნულთან შეათანხმოს.
- 6.2.3. **კრიპტო-მოდული** არ ფუნქციონირებს როგორც თავისუფალი ბაზარი და ტრანზაქციები არ სრულდება მომხმარებლებს შორის დავალებების თანხვედრის გზით. თქვენ არ ათავსებთ მოლაპარაკებად ან ღია დავალებებს.



- 6.3. ტრანზაქციის დადასტურებით თქვენ **ბანკს** აძლევთ დავალებას, განახორციელოს შესაბამისი **ციფრული აქტივის** შეძენა ან გაყიდვა **დავალების** ბოლო გვერდზე ნაჩვენები ფასით, წინამდებარე **პირობებისა** და შესაბამისი შესრულებისა და ანგარიშსწორების ინფრასტრუქტურის მეშვეობით წარმატებით შესრულების გათვალისწინებით. გარდა წინამდებარე **ხელშეკრულებით** პირდაპირ განსაზღვრული შემთხვევებისა, **ბანკი** არ მოქმედებს, როგორც **კლიენტის** პრინციპალი, კონტრაჰენტი, ბროკერი, აგენტი ან ფიდუციარი **ციფრული აქტივების** ტრანზაქციებთან დაკავშირებით და არ არის პასუხისმგებელი კლიენტებსა ან მესამე პირებს შორის ამ ტრანზაქციებთან დაკავშირებით წარმოშობილ ნებისმიერ დავაზე.
- 6.4. ტრანზაქცია ჩაითვლება თქვენ მიერ წარდგენილად მას შემდეგ, რაც ის დადასტურდება **კრიპტო-მოდულის** მეშვეობით ან **ბანკის** მიერ განსაზღვრული სხვა საშუალებით, იმის მიუხედავად, მიიღებთ თუ არა თქვენ დადასტურებას რეალურად ან შეიტყობთ თუ არა მის შესახებ. **კრიპტო-მოდული** უზრუნველყოფს ინფორმაციას წარდგენილი ტრანზაქციების სტატუსის შესახებ, მათ შორის, შესრულების, უარყოფის ან წარუმატებლობის შესახებ. თქვენ ხართ პასუხისმგებელი **კრიპტო-მოდულის** მეშვეობით გადაცემული ტრანზაქციების სტატუსის მონიტორინგზე საბოლოო დადასტურების ჩვენებამდე. **ბანკი** არ არის პასუხისმგებელი ან ვალდებული ნებისმიერი ზიანისთვის, რომელიც გამოწვეულია თქვენი მხრიდან ტრანზაქციის სტატუსის მონიტორინგის შეუძლებლობით ან **ბანკისთვის** ტრანზაქციის დადასტურების ან შესრულების სტატუსში ნებისმიერი აშკარა შეცდომის, შეფერხების ან შეუსაბამობის შესახებ დაუყოვნებლივ შეტყობინების შეუძლებლობით, თუ სხვა რამ არ არის მოთხოვნილი მოქმედი კანონმდებლობით.
- 6.5. თუ **ბანკი** გამოავლენს ტრანზაქციაზე მოქმედ ტექნიკურ, დამუშავების ან დადასტურების შეცდომას, **ბანკი**, გონივრულად და მოქმედი კანონმდებლობისა და მისი შიდა პროცედურების შესაბამისად, მიიღებს შესაბამის მაკორექტირებელ ზომებს ასეთი შეცდომის აღმოსაფხვრელად. ასეთი ზომები, საჭიროებისამებრ, შეიძლება მოიცავდეს ტრანზაქციის შესწორებას, გაუქმებას, უკან დაბრუნებას ან ხელახლა შესრულებას. საჭიროების შემთხვევაში, **ბანკს** შეუძლია მოითხოვოს თქვენგან დამატებითი დადასტურება ტრანზაქციის დამუშავებამდე ან გამოსწორებამდე.
- 6.6. თუ **ტექნიკური შეცდომის, სისტემის გაუმართაობის, ფასების შეცდომის, მონაცემთა მინოდების პრობლემის, ოპერაციული შეფერხების ან სხვა შეცდომის გამო, ციფრული აქტივები ჩაირიცხება თქვენს ანგარიშზე იმ თანხაზე მეტი ოდენობით, ვიდრე თქვენ კანონიერად გეკუთვნით, ასეთი ზედმეტი თანხა არ ჩაითვლება თქვენს საკუთრებად. ბანკი** ითვებს უფლებას, გონივრულად და კეთილსინდისიერად იმოქმედოს და გამოასწოროს ასეთი შეცდომა, მათ შორის, შესაბამისი ტრანზაქცი(ებ)ის შეცვლით ან კორექტირებით, ზედმეტი **ციფრული აქტივების** ან **ფულადი სახსრების** ჩამოჭრით თქვენი **ანგარიშიდან** ან **საბანკო ანგარიშიდან**, ან თქვენგან არასათანადოდ ჩარიცხული თანხების დაბრუნების მოთხოვნით, იმის მიუხედავად, უკვე განკარგეთ, გაყიდეთ თუ სხვაგვარად გამოიყენეთ თქვენი **ციფრული აქტივები** ან ღირებულება. თქვენ არ გენიჭებათ რაიმე უფლება შეცდომით ჩარიცხულ **ციფრულ აქტივებთან** ან



მათგან მიღებულ შემოსავლებთან დაკავშირებით და იღებთ ვალდებულებას, ყოველგვარი გაუმართლებელი დაყოვნების გარეშე, ითანამშრომლოთ **ბანკთან** შეცდომის გამოსასწორებლად. ასეთ შემთხვევაში თქვენ იქნებით პასუხისმგებელი **ბანკისთვის** ამ ქმედების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე.

- 6.7. წინამდებარე **პირობებზე** არ ვრცელდება ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება. თქვენ აცნობიერებთ, რომ შეუძლებელია ტრანზაქციის გაუქმება ან შეცვლა მას შემდეგ, რაც **კრიპტო-მოდულის** მეშვეობით **დავალებას** გადასცემთ შესრულებისთვის. **ბანკი** არ იძლევა იმის გარანტიას, რომ ტრანზაქციის გაუქმების ან შეცვლის ფუნქციონალი ხელმისაწვდომი იქნება, ხოლო ასეთის ხელმისაწვდომობის შემთხვევაში, **ბანკი** არ იძლევა გარანტიას, რომ ნებისმიერი ასეთი მოთხოვნა წარმატებით შესრულდება. თუ ტრანზაქციის გაუქმება ან შეცვლა შეუძლებელია, თქვენ ადასტურებთ, რომ თავდაპირველი ტრანზაქცია ძალაში რჩება და თქვენთვის სავალდებულოა. ამასთან, თქვენ აცნობიერებთ, რომ ტრანზაქციის გაუქმების, შეცვლის ან ხელახლა გადაგზავნის მცდელობამ, შესაძლოა, გამოიწვიოს მისი დუბლირება ან უნებლიე შესრულება, მათ შორის, სისტემის შეფერხების ან ქსელის შეფერხებების შედეგად, რაზეც პასუხისმგებელი იქნებით მხოლოდ თქვენ, თუ მოქმედი კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი.
- 6.8. **ბანკი** უფლებამოსილია, თავისი უსაფრთხოების, რისკების მართვისა და მარეგულირებელი მოთხოვნების შესაბამისად, თავისი შეხედულებისამებრ, განახორციელოს ავტორიზაციის ერთი ან მეტი ზომა **კრიპტო-მოდულის** მეშვეობით ტრანზაქციების წარდგენასთან ან შესრულებასთან დაკავშირებით, მათ შორის, მაგრამ არა მხოლოდ, ბიომეტრიული ავტორიზაცია, ერთჯერადი პაროლები (OTP), მრავალფაქტორიანი ავტორიზაცია ან უსაფრთხოების სხვა მექანიზმები, როგორც ამას პერიოდულად მხარს უჭერს **მობილური ბანკის** აპლიკაცია ან **კრიპტო-მოდული**. გამოყენებული ავტორიზაციის კონკრეტული ზომები შეიძლება განსხვავდებოდეს ტრანზაქციის ტიპის, რისკის შეფასების, მარეგულირებელი მოთხოვნებისა და შესაბამის დროს ტექნიკური შესაძლებლობების მიხედვით.
- 6.8.1. კონკრეტულ შემთხვევაში ავტენტიფიკაციის კონკრეტული მეთოდის, მათ შორის, OTP-ის ან ბიომეტრიული შემოწმების, გამოყენებლობა, თუ გამოყენებული ავტენტიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და **ბანკის** შიდა უსაფრთხოების პროცედურებს, თავისთავად არ წარმოადგენს წინამდებარე **პირობების** დარღვევას და არ ითვლება საჭირო უსაფრთხოების ზომების განხორციელების შეუძლებლობად.
- 6.8.2. თქვენ აცნობიერებთ და ეთანხმებით, რომ **ბანკი** არ იქნება პასუხისმგებელი იმ ტრანზაქციების შესრულების შედეგად წარმოშობილ ზიანზე, რომელთა ავტორიზაცია განხორციელდა მოქმედი მარეგულირებელი მოთხოვნებისა და შესაბამის დროს მოქმედი **ბანკის** შიდა უსაფრთხოების პროცედურების შესაბამისად, იმ შემთხვევაშიც კი, თუ დამატებითი ან ალტერნატიული ავტორიზაციის ზომები ხელმისაწვდომი იყო, მაგრამ არ იქნა გამოყენებული.



- 6.9. შესრულებული ტრანზაქცია საბოლოოა და მისი გაუქმება ან შეცვლა შეუძლებელია, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გაუქმება ან შეცვლა მოითხოვება მოქმედი კანონმდებლობით, სისტემის ან ტექნიკური ხარვეზის გამოვლენით, ან გათვალისწინებულია წინამდებარე **ხელშეკრულებით**, მათ შორის, 6.4 მუხლით.
- 6.10. **ბანკი** არ იძლევა გარანტიას, რომ:
- 6.10.1. ნებისმიერი დავალება შესრულდება;
 - 6.10.2. დავალება დაუყოვნებლივ შესრულდება;
 - 6.10.3. დავალება შესრულდება მითითებულ ფასად; ან
 - 6.10.4. დავალება შესრულდება საუკეთესო ხელმისაწვდომ საბაზრო ფასად.
- დავალების შესრულებაზე შეიძლება გავლენა იქონიოს ბაზრის ცვალებადობამ, ლიკვიდურობის შეზღუდვებმა, ტექნიკურმა შეზღუდვებმა, მესამე მხარის სისტემებმა ან მარეგულირებელმა მოთხოვნებმა.
- 6.11. თქვენ მიერ წარდგენილი დავალებები ექვემდებარება **ბანკის** ან/და შესაბამისი **მომსახურების მიმწოდებელი მესამე მხარის** მიერ მიღებას. **ბანკს** უფლება აქვს, უარი თქვას ამგვარი დავალებების შესრულებაზე წინამდებარე **პირობების** შესაბამისად.
- 6.12. **ციფრული აქტივების შეძენა და გაყიდვა შეუძლიათ მხოლოდ იმ პირებს, რომლებსაც აქვთ აქტიური საბანკო ანგარიში სს „თიბისი ბანკში“ და მხოლოდ და მხოლოდ მობილური ბანკის მეშვეობით. ასეთი ტრანზაქციებისთვის სხვა რომელიმე არხის გამოყენება დაუშვებელია.**
- 6.13. ბანკი არ არის პასუხისმგებელი თქვენ მიერ მიღებულ ზარალზე, ზიანზე ან ხარჯებზე, რომელიც გამოწვეულია ჩვენ მიერ მე-6 პუნქტის შესაბამისად განხორციელებული ნებისმიერი ქმედებით ან უმოქმედობით, მათ შორის, დავალების მიღების, უარყოფის, გაუქმების, შეცვლის ან შეუსრულებლობის შესახებ მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილებით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ასეთი ზიანი გამოწვეულია **ბანკის** უხეში გაუფრთხილებლობით ან განზრახი ქმედებით, ან დადგენილია სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით.
- 6.14. იმის გათვალისწინებით, რომ **ფულადი სახსრების ანგარიშზე** ჩარიცხვა შეუძლებელია, ტრანზაქციების ანგარიშსწორება განხორციელდება სს „თიბისი ბანკში“ არსებული თქვენი ნებისმიერი აქტიური **საბანკო ანგარიშიდან**. ყველა ტრანზაქცია უნდა განხორციელდეს აშშ დოლარში (USD) ან ქართულ ლარში (GEL) (**კრიპტო-მოდულის** მეშვეობით არსებული ხელმისაწვდომობის შესაბამისად), ხოლო **კრიპტო-მოდულის** მეშვეობით ნაჩვენები **ციფრული აქტივების** ყველა ფასი მითითებულია შესაბამისად, აშშ დოლარში ან ლარში. ამასთან, **კრიპტო-მოდულმა**, შესაძლოა, დროდადრო, მოგცეთ საშუალება, დაიწყოთ ანგარიშსწორება სხვა ვალუტაში არსებული **საბანკო ანგარიშიდან**. ასეთ შემთხვევაში, აშშ დოლარში გადასახდელი ექვივალენტური თანხა დაითვლება და ავტომატურად კონვერტირდება **ბანკის** მიერ კონვერტაციის თარიღისთვის **ბანკში** არსებული კომერციული გაცვლითი კურსის შესაბამისად და ჩაითვლება, რომ თქვენ დართეთ ნება ასეთ კონვერტაციას შესაბამისი ტრანზაქციის დასასრულებლად.



- 6.15. კრიპტო-მოდულის მეშვეობით შესაძლებელია მხოლოდ ყიდვა-გაყიდვის დავალებების განთავსება. გადარიცხვის დავალებები, მათ შორის, ციფრული აქტივების გატანა ან გადარიცხვა გარე საფულებზე, მესამე პირებზე ან კრიპტო-მოდულის ნებისმიერ სხვა მომხმარებელზე, მხარდაჭერილი არ არის და მათი შესრულება შეუძლებელია. ამრიგად, თქვენ ცალსახად აცნობიერებთ და ეთანხმებით, რომ კრიპტო-მოდულის მეშვეობით შენახული ციფრული აქტივების კრიპტო-მოდულიდან გატანა შეუძლებელია. შესაბამისად, თუ გსურთ, დახუროთ თქვენი პოზიცია ან განკარგოთ თქვენი ციფრული აქტივები, ეს შესაძლებელია მხოლოდ ამ ციფრული აქტივების გაყიდვით კრიპტო-მოდულის მეშვეობით.
- 6.16. ციფრული აქტივების შეძენისა და გაყიდვის ფასი დინამიურია, რაც იმას ნიშნავს, რომ ფასები მუდმივად მერყეობს და მათზე გავლენას ახდენს სხვადასხვა ფაქტორი, მათ შორის, საბაზრო პირობები და ლიკვიდურობა. ციფრული აქტივების კოტირებები შეიძლება გამოყენებადი იყოს მხოლოდ კონკრეტული მოცულობისთვის, ხოლო ციფრული აქტივის შეძენის ფასი შეიძლება განსხვავდებოდეს მისი გაყიდვის ფასისგან.
- 6.17. თქვენ მიერ შეძენილი ციფრული აქტივები წარმოადგენს თქვენს საკუთრებას, თუმცა, ამ ციფრულ აქტივებს ბანკი ფლობს თქვენი სახელით ნომინალურ მფლობელობაში. ბანკი უფლებამოსილია შეინახოს თქვენი საკუთრებაში არსებული ციფრული აქტივები, რომლებიც შეძენილია ბანკის მეშვეობით როგორც საკუთარ ინფრასტრუქტურაში, ისე კასტოდიანი მესამე მხარეების მეშვეობით, მათ შორის, ბანკის მიერ დანიშნული ვირტუალური (კრიპტო) აქტივების მომსახურების პროვაიდერების საფულებებში.
- 6.18. ყოველი შესყიდვის ან გაყიდვის დავალება შეიძლება დაკავშირებული იყოს მხოლოდ ერთ (1) კონკრეტულ ციფრულ აქტივთან. თქვენ არ შეგიძლიათ განათავსოთ ერთიანი დავალება, რომელიც აერთიანებს ან უკავშირდება სხვადასხვა ციფრულ აქტივს. თითოეული ციფრული აქტივისთვის წარდგენილ უნდა იქნეს ცალკეული დავალებები.
- 6.19. შესყიდვის ტრანზაქციები
- 6.19.1. ციფრული აქტივის შესაძენად თქვენ უნდა შექმნათ ბანკის მიერ კრიპტო-მოდულის მეშვეობით შემოთავაზებული ციფრული აქტივის შესყიდვის დავალება.
- 6.19.2. შესყიდვის დავალების შესრულება ექვემდებარება ბანკის მიერ მიღებასა და დისკრეციულ შესრულებას. შესყიდვის დავალება შეიძლება უარყოფილი, გადადებული, ნაწილობრივ შესრულებული ან საერთოდ შესრულებული იყოს, მათ შორის, თუმცა არა მხოლოდ, იმ შემთხვევაში, როდესაც:
- 6.19.2.1. თქვენ არ გაქვთ საკმარისი ხელმისაწვდომი ბალანსი;
- 6.19.2.2. გადაჭარბებულია მოქმედი სავაჭრო (მინიმალური ან მაქსიმალური) ან რისკის ლიმიტები;
- 6.19.2.3. საბაზრო პირობები არ იძლევა შესრულების საშუალებას;
- 6.19.2.4. შესრულება ვერ დასრულდება შესაბამისი შესრულების ან ანგარიშსწორების ინფრასტრუქტურის მეშვეობით; ან
- 6.19.2.5. ის არ შეესაბამება წინამდებარე პირობებს.
- 6.19.3. ციფრული აქტივის შეძენის დაწყებისთანავე ბანკი მოგაწვდით ციფრული აქტივების კოტირებას, რომელიც შესაძლოა განსხვავდებოდეს ციფრული



აქტივის საბოლოო **კოტირებისგან**; აღნიშნული ხელმისაწვდომი იქნება **დავალების** განთავსების ბოლო გვერდზე (**დავალების** დადასტურების გვერდი).

6.19.4. **შესყიდვის დავალების** შესრულების შემდეგ შესაბამისი თანხა (მათ შორის, ნებისმიერი მოქმედი საკომისიო და გადასახადი) ჩამოიჭრება თქვენი **საბანკო ანგარიშიდან შესყიდვის დავალების** შესრულებამდე. თქვენ მიიღებთ საკუთრების უფლებას **ციფრული აქტივის** შესაბამის ოდენობაზე მას შემდეგ, რაც აღნიშნული შესრულება დადასტურდება. შეძენილი **ციფრული აქტივი** დაგერიცხებათ ტრანზაქციის დასრულებისთანავე.

6.20. გაყიდვის დავალებები

6.20.1. **გაყიდვის დავალების** წარდგენა შეგიძლიათ მხოლოდ იმ **ციფრული აქტივებისთვის**, რომლებიც განთავსებულია თქვენს **ანგარიშზე** და აღრიცხულია **ბანკის** ნომინალურ მფლობელობაში. თქვენს **ანგარიშზე** არსებულ ბალანსზე მეტი რაოდენობის **ციფრული აქტივების** გაყიდვის ნებისმიერი მცდელობა გამოიწვევს ტრანზაქციის შეუსრულებლობას. ამგვარი ტრანზაქციების განხორციელების განმეორებითმა ან განზრახ მცდელობებმა, შესაძლოა, დაარღვიოს წინამდებარე **პირობები** და გამოიწვიოს **კრიპტო-მოდულზე** წვდომის შეზღუდვა ან შეწყვეტა.

6.20.2. **გაყიდვის დავალების** შესრულება ექვემდებარება **ბანკის** მიერ მის მიღებასა და დისკრეციის ფარგლებში აღსრულებას და ის შეიძლება იქნეს უარყოფილი, გადადებული, ნაწილობრივ შესრულებული ან საერთოდ შეუსრულებელი, მათ შორის, თუმცა არა მხოლოდ, იმ შემთხვევაში, როდესაც:

6.20.2.1. თქვენ არ ფლობთ შესაბამისი **ციფრული აქტივის** საკმარის რაოდენობას **კრიპტო-მოდულის** მეშვეობით;

6.20.2.2. გადაჭარბებულია მოქმედი სავაჭრო (მინიმალური და მაქსიმალური), რისკის ან საოპერაციო ლიმიტები;

6.20.2.3. საბაზრო პირობები არ იძლევა აღსრულების საშუალებას;

6.20.2.4. აღსრულება ან ანგარიშსწორება ვერ დასრულდება შესაბამისი შესრულების, შენახვის ან ანგარიშსწორების ინფრასტრუქტურის მეშვეობით; ან

6.20.2.5. **გაყიდვის დავალება** არ შეესაბამება წინამდებარე **პირობებს** ან მოქმედ კანონმდებლობას.

6.20.3. **ციფრული აქტივის** გაყიდვის დაწყებისთანავე **ბანკი** მოგაწვდით **ციფრული აქტივების კოტირებას**, რომელიც შესაძლოა განსხვავდებოდეს **ციფრული აქტივის** საბოლოო **კოტირებისგან**; აღნიშნული ხელმისაწვდომი იქნება **დავალების** განთავსების ბოლო გვერდზე (**დავალების** დადასტურების გვერდი).

6.20.4. თუ თქვენ სათანადოდ დააინიცირებთ **ციფრული აქტივის** გაყიდვას **კრიპტო-მოდულის** მეშვეობით, სრულად შეასრულებთ გაყიდვის პროცესს და სათანადოდ დაადასტურებთ **გაყიდვის დავალებას** მითითებულ ვადაში, თქვენ გადასცემთ **ციფრული აქტივის** შესაბამისი თანხის საკუთრებას მესამე პირს ტრანზაქციის შესრულებისთანავე. გაყიდვის დავალების შესრულების შემდეგ თქვენ უფლებამოსილი იქნებით, მიიღოთ **ფულადი სახსრები**, რომელიც ტოლი იქნება



ტრანზაქციის ღირებულებისა ყველა მოქმედი საკომისიოსა და გადასახადის გამოკლებით. აღნიშნული თანხა ჩაირიცხება თქვენს **საბანკო ანგარიშზე გაყიდვის დავალების** სათანადოდ შესრულების მომენტიდან არაუგვიანეს სამი (3) სამუშაო დღისა.

6.20.4.1. იმ შემთხვევაში, თუ ტექნიკური შეცდომის, ოპერაციული გაუმართაობის ან სხვა უნებლიე შეცდომის გამო, თქვენს **ანგარიშზე** ჩაირიცხება თანხა, რომელიც აღემატება იმ წმინდა **ფულად სახსრებს**, რომლის მიღების უფლებაც გაქვთ, **ბანკი** უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს და წინასწარი შეტყობინების გარეშე, ჩამოჭრას ან დაიბრუნოს ზედმეტი თანხა **ბანკში** არსებული თქვენი მიმდინარე ან სხვა ანგარიშებიდან.

6.21. მხარდაჭერილი ციფრული აქტივები და სიიდან ამოღება

6.21.1. თქვენ შეგიძლიათ შეიძინოთ და გაყიდოთ მხოლოდ ის **ციფრული აქტივები**, რომლებსაც მხარს უჭერს **ბანკი** და რომლებიც დროდადრო ნაჩვენებია **კრიპტო-მოდულის** მეშვეობით („**მხარდაჭერილი ციფრული აქტივები**“).

6.21.2. **ბანკს** შეუძლია, თავისი შეხედულებისამებრ, დაამატოს ახალი **მხარდაჭერილი ციფრული აქტივები**, შეცვალოს **მხარდაჭერილი ციფრული აქტივების** სია ან შეწყვიტოს მხარდაჭერა ნებისმიერი **ციფრული აქტივისთვის** ნებისმიერ დროს, მათ შორის წინასწარი შეტყობინების გარეშე, თუ მოქმედი კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი.

6.21.3. **ბანკს** შეუძლია, საკუთარი შეხედულებისამებრ, შეაჩეროს ან შეწყვიტოს ნებისმიერი **მხარდაჭერილი ციფრული აქტივის** ხელმისაწვდომობა შესაძენად ან/და გასაყიდად, მუდმივად ან დროებით („**სიიდან ამოღება**“).

6.21.4. **ციფრული აქტივის სიიდან ამოღების** შემდეგ:

6.21.4.1. თქვენ ვეღარ შეძლებთ, შეიძინოთ ამოღებული **ციფრული აქტივი კრიპტო-მოდულის** მეშვეობით, ამოღების მომენტიდან. **ბანკი** არ არის ვალდებული, წინასწარ გაცნობოთ შესყიდვის ფუნქციის შეჩერების შესახებ.

6.21.4.2. სადაც გონივრულად შესაძლებელია, **კლიენტები**, რომლებიც ფლობენ შესაბამის **ციფრულ აქტივს კრიპტო-მოდულის** მეშვეობით, მიიღებენ მომსახურების შეტყობინებას გონივრულ ვადაში, სანამ მოხდება მისი **სიიდან ამოღება**, სადაც მითითებული იქნება **სიიდან ამოღების** მოსალოდნელი თარიღი და ნებისმიერი ხელმისაწვდომი ვარიანტი.

6.21.4.3. **სიიდან ამოღების** თარიღში შესაბამისი **ციფრული აქტივი** შეიძლება წაიშალოს **კრიპტო-მოდულიდან** და აღარ იყოს ხილვადი ან/და ხელმისაწვდომი სავაჭრო ოპერაციებისთვის.

6.21.4.4. თუ, **სიიდან ამოღების** თარიღისთვის (ან შემდგომ), თქვენ კვლავ ფლობთ **სიიდან ამოღებულ ციფრულ აქტივს კრიპტო-მოდულის** მეშვეობით, თქვენ ეთანხმებით, რომ **ბანკი** უფლებამოსილია, თქვენგან დამატებითი თანხმობის მოპოვების გარეშე:

6.21.4.4.1. შეასრულოს ასეთი **ციფრული აქტივის** გაყიდვა იმ დროისთვის **ბანკის** შესრულების ინფრასტრუქტურის მეშვეობით ხელმისაწვდომი საბაზრო



ფასით (მოქმედი საკომისიოების, მოსაკრებლებისა და გადასახადების გამოკლებით); ან/და

6.21.4.4.2. მიიღოს ნებისმიერი სხვა ზომა, რომელიც საჭიროა ოპერაციული, უსაფრთხოების, შესაბამისობის, რისკების მართვის ან მარეგულირებელი მიზნების გამო, მათ შორის, შეზღუდოს შესაბამის **ციფრულ აქტივზე** წვდომა.

6.21.4.4.3. თქვენ აცნობიერებთ, რომ ასეთი გაყიდვა შეიძლება მოხდეს იმ ფასისგან განსხვავებულ ფასად, რომლითაც თქვენ შეიძინეთ **ციფრული აქტივი**, და შესაძლებელია შესრულდეს ერთ ან მრავალ ტრანზაქციაში, რაც დამოკიდებულია ბაზრის ლიკვიდურობასა და ტექნიკურ შესაძლებლობებზე.

6.21.5. **ბანკი** გონივრულ ძალისხმევას გამოიყენებს, რათა წინასწარ შეატყობინოს **კლიენტებს** **სიიდან ამოღების** შესახებ; თუმცა, თქვენ აცნობიერებთ, რომ წინასწარი შეტყობინება შეიძლება შეუძლებელი იყოს (და **ბანკმა** შესაძლოა დაუყოვნებლივ იმოქმედოს), მაგალითად, როდესაც:

6.21.5.1. განხორციელდა ცვლილება მოქმედ კანონმდებლობაში, რეგულაციაში, სამართლებრივ ინტერპრეტაციაში, ან გაიცა ნებისმიერი კომპეტენტური ორგანოს მიერ მითითება/ბრძანება/მოთხოვნა, რომელიც გავლენას ახდენს **ციფრული აქტივის** სამართლებრივ ან მარეგულირებელ სტატუსზე ან **ბანკის** შესაძლებლობაზე, მხარი დაუჭიროს მას;

6.21.5.2. **ციფრული აქტივი** განიცდის არსებით ცვლილებას (მათ შორის, ტექნიკურ მოდიფიკაციებს, მიგრაციას, რედენომინაციას, რებრენდინგს, ჰარდ-ფორკს (hard fork) ან მსგავს მოვლენას), რომელიც არსებითად აისახება მის ფუნქციონირებაზე, რისკებსა ან მხარდაჭერაზე;

6.21.5.3. ნებისმიერი **მომსახურების მიმწოდებელი მესამე მხარე**, ლიკვიდურობის პროვაიდერი, კასტოდირი, საფულის პროვაიდერი ან სხვა პარტნიორი, რომელიც ჩართულია **ბანკის** მიერ **კრიპტო-ვალუტასთან** დაკავშირებული მომსახურების უზრუნველყოფაში, წყვეტს ან ზღუდავს მხარდაჭერას **ციფრულ აქტივზე**;

6.21.5.4. **ბანკი** განსაზღვრავს, რომ უწყვეტი მხარდაჭერა **ბანკს** ან/და **კლიენტებს** შეუქმნის დაუშვებელ საოპერაციო, კიბერ, სამართლებრივ, რეპუტაციულ, **AML/CFT**, **სანქციების**, თაღლითობის ან ბაზრის ბოროტად გამოყენების რისკს.

6.21.6. შეზღუდვის გარეშე, **ბანკი** უფლებამოსილია გააუქმოს **ციფრული აქტივის** განაცხადი, თუ **ბანკი** თავისი შეხედულებისამებრ დაადგენს, რომ:

6.21.6.1. ლიკვიდურობა ან/და სავაჭრო მოცულობა არასაკმარისია ან ქმნის შესრულებისთვის ან ანგარიშსწორებისთვის მომატებულ რისკს;

6.21.6.2. **ციფრული აქტივი** მგრძნობიარეა ფასების მანიპულირების ან ბაზრის ბოროტად გამოყენების მიმართ (მათ შორის, დაბალი საბაზრო კაპიტალიზაციის ან არასტანდარტული არასტაბილურობის გამო);



- 6.21.6.3. არსებობს ცნობილი ან სავარაუდო ინფორმაცია ან ეჭვი უსაფრთხოების ხარვეზების, ჰაკერული თავდასხმის, თაღლითობის ან ტექნიკური სისუსტეების შესახებ, რომლებიც გავლენას ახდენს **ციფრულ აქტივზე** ან მის ძირითად ქსელზე;
- 6.21.6.4. **ციფრული აქტივი** ექვემდებარება სანქციებით გათვალისწინებულ შეზღუდვებს, გაზრდილ კომპლექსური შემოწმების მოთხოვნებს ან შესაბამისობის სხვა შეზღუდვებს;
- 6.21.6.5. **ციფრული აქტივის** მხარდაჭერა **ბანკისთვის** აღარ არის კომერციულად ან ოპერაციულად მიზანშეწონილი.
- 6.21.7. მოქმედი კანონმდებლობით დაშვებულ მაქსიმალურ ფარგლებში, **ბანკი** არ არის პასუხისმგებელი ნებისმიერი ზიანის, დაზიანების, დაკარგული შესაძლებლობების, მოგების დანაკარგის ან ფასების ცვლილებების გამო, რომელიც წარმოიშობა **სიიდან ამოღებასთან** დაკავშირებით, მათ შორის, სავაჭრო ფუნქციონირების შეჩერებასთან ან **ბანკის** მიერ ამ პუნქტის შესაბამისად განხორციელებულ ნებისმიერ გაყიდვასთან დაკავშირებით.

7. საკომისიო

- 7.1. **კრიპტო-მოდულზე** წვდომისთვის ან **კლიენტად** რეგისტრაციისთვის საკომისიო არ არსებობს. ამის მიუხედავად, **ბანკს** შეუძლია გარკვეული ტრანზაქციების, აპლიკაციის ფუნქციების, მომსახურებებისა თუ ფუნქციონალების გამო საკომისიოს დაკისრება, როგორც ეს განსაზღვრულია წინამდებარე **პირობებში**, ან როგორც ამის შესახებ პერიოდულად შეგატყობინებთ.
- 7.2. **კრიპტო-მოდულზე** წვდომისა და **ციფრული აქტივების** ტრანზაქციების შესრულების გათვალისწინებით, თქვენ თანახმა ხართ გადაიხადოთ საკომისიო თქვენ მიერ ინიცირებული ყოველი წარმატებით შესრულებული ყიდვა-გაყიდვის ტრანზაქციისთვის („ტრანზაქციის საკომისიო“).
- 7.2.1. თქვენ აცნობიერებთ და ეთანხმებით, რომ **ციფრული აქტივების** ყიდვა-გაყიდვის ტრანზაქციები შეიძლება განხორციელდეს ყიდვისა და გაყიდვის ფასებს შორის არსებული სხვაობის (სპრედის) გათვალისწინებით. ამასთან, **ბანკის** მიერ დადგენილი საკომისიოები, მოსაკრებლები და სხვა გადასახდელები შეიძლება აისახოს შესაბამისი **ციფრული აქტივის** ფასში და ცალკე არ იყოს მითითებული ან დაკისრებული თქვენთვის.
- 7.3. **ბანკი** ითვებს უფლებას ნებისმიერ დროს შეცვალოს, მოახდინოს მოდიფიკაცია ან დააწესოს ახალი საკომისიოები. ნებისმიერი ასეთი ცვლილება ძალაში შედის არაუადრეს ოცდაათი (30) კალენდარული დღისა, მას შემდეგ, რაც **ბანკი** შეგატყობინებთ (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შეტყობინება უნდა გაკეთდეს უფრო ადრე ამ **პირობების** ან მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად), **მობილური ბანკის, კრიპტო-მოდულის** ან სხვა შესაბამისი საშუალებების მეშვეობით. თუ თქვენ არ ეთანხმებით განახლებულ საკომისიოებს, თქვენ გეძლევათ მხოლოდ **კრიპტო-მოდულის**



გამოყენების შეწყვეტის შესაძლებლობა. **კრიპტო-მოდულის** გამოყენების გაგრძელება განახლებული საკომისიოების ძალაში შესვლის თარიღის შემდეგ ჩაითვლება ამ ცვლილებების დადასტურებად.

- 7.4. საკომისიოს გადახდა უნდა მოხდეს თქვენ მიერ და შეიძლება ჩამოგეჭრათ აშშ დოლარში/ლარში ან, **ბანკის** დისკრეციით სხვა ვალუტაში, რომელიც დროდადრო შეიძლება დამტკიცდეს **ბანკის** მიერ. თუ **საბანკო ანგარიშზე** არ გაქვთ საკმარისი აშშ დოლარი/ლარი, შესაბამისი თანხა გამოითვლება საკომისიოების აშშ დოლარის/ლარის ოდენობის კონვერტირებით ასეთ ვალუტაში კონვერტაციის თარიღზე **ბანკის** კომერციული გაცვლითი კურსით.
- 7.5. თუ თვლით, რომ საკომისიო შეცდომით ჩამოგეჭრათ, დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოთ **ბანკს** და მიაწოდოთ შესაბამისი ტრანზაქციის გონივრული დეტალები. თუ მოქმედი კანონმდებლობით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, ნებისმიერი პრეტენზია, რომელიც არ იქნება წარდგენილი შესაბამისი საკომისიოს თქვენი **ანგარიშის** ამონაწერში ასახვის დღიდან ოცდაათი (30) კალენდარული დღის განმავლობაში, ჩაითვლება წარუდგენლად, ხოლო ტრანზაქციის საკომისიო კი თქვენ მიერ საბოლოოდ დადასტურებულად და მიღებულად.
- 7.6. ნებისმიერი გადასახადი, მოსაკრებელი ან საკომისიო, რომელიც პირდაპირ არ არის მითითებული წინამდებარე **პირობებში** და დაწესებულია **მომსახურების მიწოდებელი მესამე მხარის** მიერ **მომსახურებებთან** დაკავშირებით დაგეკისრებათ თქვენ.

8. ტრანზაქციის ლიმიტები

- 8.1. **კრიპტო-მოდულის** მეშვეობით შესრულებული თქვენი ტრანზაქციები ექვემდებარება ტრანზაქციის ლიმიტებს, რაც მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება ამ პირობების დანართი N1-ით განსაზღვრული ლიმიტებით.
- 8.2. **ბანკს** აქვს უფლება, მაგრამ არა ვალდებულია, ასახოს და შეგატყობინოთ ტრანზაქციის ლიმიტები **კრიპტო-მოდულს** მეშვეობით.
- 8.3. **ბანკი** ითხოვს უფლებას, საკუთარი შეხედულებისამებრ, შეცვალოს, გადახედოს ან დაარეგულიროს ზემოაღნიშნული ტრანზაქციის ლიმიტები. **კლიენტებისთვის** მოქმედი ტრანზაქციის ლიმიტების ნებისმიერი არსებითი ცვლილება უნდა ეცნობოს **კლიენტებს** ასეთი ცვლილების ძალაში შესვლამდე ოცდაათი (30) კალენდარული დღით ადრე.
 - 8.3.1. მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, თუ ტრანზაქციის ლიმიტების ცვლილება საჭიროა მოქმედი კანონმდებლობის, რეგულაციის, რისკების მართვის, უსაფრთხოების ან საოპერაციო მიზეზების, მარეგულირებელი მოთხოვნის, საზედამხებდველო მითითებების, საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის ცვლილების შედეგად და ასეთი ცვლილება ძალაში შედის ვადაში რომელიც **ბანკს** არ აძლევს საშუალებას, რომ მოგაწოდოთ წინასწარი შეტყობინება ოცდაათი (30) კალენდარული დღით ადრე, **ბანკი** შეგატყობინებთ ამ ცვლილების შესახებ გონივრულად შესაძლო უმოკლეს ვადაში.



- 8.4. თქვენ აცნობიერებთ და ეთანხმებით, რომ **ანგარიშზე** არსებული **ციფრული აქტივის** ღირებულება საბაზრო ცვლილებების გამო შეიძლება დაეცეს ტრანზაქციის მინიმალურ თანხაზე ან **კრიპტო-მოდულში** მოქმედ სხვა შესრულების ზღვრებზე დაბლა. ასეთ შემთხვევებში, შესაძლოა, ვერ შეძლოთ **გაყიდვის დავალების** განთავსება ან ამ **ციფრული აქტივის** სხვაგვარად განკარგვა, დროებით ან/და სამუდამოდ.
- 8.4.1. **ბანკი** არ არის ვალდებული შეასრულოს ნებისმიერი ტრანზაქცია, რომელიც არ აკმაყოფილებს ტრანზაქციის მოქმედ მინიმალურ მოთხოვნებს და მოქმედი კანონმდებლობით დაშვებულ ფარგლებში არ არის პასუხისმგებელი, ნებისმიერი ბარალის, გაყიდვის შეუძლებლობის ან გამოუყენებელი შესაძლებლობის გამო, რომელიც პირდაპირ გამომწვეულია ტრანზაქციის ამგვარი მინიმალური მოთხოვნებით.
- 8.4.2. ნებისმიერი შემთხვევა, როდესაც ტრანზაქციის ლიმიტები არის გადაჭარბებული ჩაითვლება განსაკუთრებულ შემთხვევად და არ შეიძლება განიხილოს როგორც პრეცედენტი ან ამ შემთხვევის გამო შეიქმნათ მოლოდინი, რომ ლიმიტის ამგვარი გადაჭარბება მომავალშიც იქნება დაშვებული.

9. კრიპტო-მოდულის უსაფრთხოება, ავტორიზაცია და გამოყენება

- 9.1. **კრიპტო-მოდულზე** წვდომა და მისი გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ **მობილური ბანკის** აპლიკაციის მეშვეობით. **მობილურ ბანკთან დაკავშირებულ** ყველა საკითხს, რომელიც დაკავშირებულია იდენტიფიკაციასთან, ავტორიზაციასთან, წვდომის უსაფრთხოებასთან, მომხმარებლის მონაცემებთან, ბიომეტრიულ ავტორიზაციასთან, ერთჯერად პაროლებთან (OTP), მოწყობილობის ვერიფიკაციასთან და უსაფრთხოების სხვა ზომებთან, არეგულირებს თქვენსა და **ბანკს** შორის დადებული **ხელშეკრულება ფიზიკური პირის საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ**.
- 9.2. თქვენ აცნობიერებთ და ეთანხმებით, რომ **კრიპტო-მოდულზე** მოქმედი უსაფრთხოების სტანდარტები, ავტორიზაციის მექანიზმები და წვდომის წესები განუყოფელია და სრულად არის დამოკიდებული **მობილური ბანკის** უსაფრთხოების ჩარჩოზე.
- 9.3. თქვენ პირადად ხართ პასუხისმგებელი შემდეგზე:
- 9.3.1. **მობილური ბანკის** ყველა ავტორიზაციის მონაცემის, ავტორიზაციის ხელსაწყოსა და მოწყობილობის კონფიდენციალურობისა და უსაფრთხოების შენარჩუნება;
- 9.3.2. **მობილური ბანკისა** და **კრიპტო-მოდულისთვის** უნებართვო წვდომის თავიდან აცილება;
- 9.3.3. **კრიპტო-მოდულზე** წვდომის უზრუნველყოფა მხოლოდ თქვენ მიერ ან იმ პირების მიერ, რომლებიც სათანადოდ არიან უფლებამოსილი მოქმედი კანონმდებლობისა და შესაბამისი საბანკო ხელშეკრულებების შესაბამისად.
- მობილური ბანკისა** და **კრიპტო-მოდულის** მეშვეობით შესრულებული ნებისმიერი ქმედება ჩაითვლება თქვენ მიერ შესრულებულ ქმედებად.
- 9.4. **ბანკს** შეუძლია, თავისი შეხედულებისამებრ, გამოიყენოს ან დაუშვას დამატებითი ავტორიზაციის ან გადამოწმების ტექნოლოგიები, მათ შორის მრავალფაქტორიანი



ავტორიზაცია, ბიომეტრიული ავტორიზაცია ან **მობილური ბანკის** მიერ მხარდაჭერილი სხვა უსაფრთხოების ზომები. ავტორიზაციის რომელიმე კონკრეტული მეთოდის გამოყენება ან გამოუყენებლობა (OTP-ის ან ბიომეტრიული ავტორიზაციის ჩათვლით) არ წარმოადგენს წინამდებარე **პირობების** დარღვევას და არ იწვევს **ბანკის** პასუხისმგებლობას უნებართვო წვდომის შემთხვევაში.

- 9.5. ყოველგვარი ეჭვის გამორიცხვის მიზნით, ამ პუნქტის დებულებები არ არის ამომწურავი. დამატებითი პირობები, უფლებები და ვალდებულებები, რომლებიც დაკავშირებულია **მობილური ბანკის** უსაფრთხოებასთან, წვდომასთან, ავთენტიფიკაციასთან, ავტორიზაციასა და გამოყენებასთან, მითითებულია **ბანკსა** და თქვენ შორის დადებულ **ხელშეკრულებაში ფიზიკური პირის საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ**, რომელიც შესაბამისად გამოიყენება.

10. კრიპტო-მოდულის გამოყენების რისკი

- 10.1. **კრიპტო-მოდული**, რომელიც თქვენთვის ხელმისაწვდომი გახდა **მობილური ბანკის** მეშვეობით, ყველა კონტენტის (მათ შორის, მესამე მხარის კონტენტის), ფუნქციებისა და მასთან დაკავშირებული მომსახურებების ჩათვლით, მოწოდებულია „როგორც არის“ და „როგორც ხელმისაწვდომია“ პრინციპით, თქვენი რისკით, ყოველგვარი გაცხადებებისა თუ გარანტიების გარეშე. **ბანკი** არ იძლევა **კრიპტო-მოდულის** ან მისი რომელიმე ფუნქციის შეუფერხებელი ხელმისაწვდომობისა თუ გამოყენების გარანტიას დროის ნებისმიერ მონაკვეთში.
- 10.2. თქვენ აცნობიერებთ, რომ **მობილური ბანკის** მეშვეობით **კრიპტო-მოდულზე** წვდომა და მისი გამოყენება მოიცავს დამახასიათებელ ტექნიკურ და საოპერაციო რისკებს, რაც მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგით:
- 10.2.1. რისკები, რომლებიც წარმოიქმნება ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების, მობილური ან ინტერნეტ-სერვისების პროვაიდერების, მოწყობილობების მწარმოებლებისა თუ ოპერაციული სისტემების გამოყენების შედეგად;
- 10.2.2. სისტემის დროებითი ან ხანგრძლივი შეფერხებები, ტექნიკური გამართულობის სამუშაოების პერიოდები, უსაფრთხოებასთან დაკავშირებული შეზღუდვები ან სხვა შეფერხებები, რომლებმაც შესაძლოა **კრიპტო-მოდულის** მიუწვდომლობა გამოიწვიოს; და
- 10.2.3. არამიზნობრივი გამოყენების, არავტორიზებული წვდომის, ან სხვაგვარი ზემოქმედების რისკი, რომელიც გამოწვეულია თქვენი მოწყობილობის არასათანადო პროგრამული უზრუნველყოფის, კიბერინციდენტების, დაკარგვის, ქურდობის ან დაზიანების შედეგად.
- 10.3. **ბანკი** ითოვებს უფლებას, შეზღუდოს, შეაჩეროს ან დაბლოკოს წვდომა **კრიპტო-მოდულზე** იმ ნებისმიერ მოწყობილობაზე, სადაც ოპერაციული სისტემის ან მოწყობილობის მწარმოებლის უსაფრთხოების ფუნქციები შეცვლილია, გამორთულია ან დარღვეულია (მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, ე.წ. „jailbroken“ ან „rooted“ მოწყობილობები). **ბანკი** არ იძლევა გარანტიას **კრიპტო-მოდულის** გამართულ



ფუნქციონირებასთან დაკავშირებით იმ მოწყობილობებზე, რომლებიც არ აკმაყოფილებს **ბანკის** ტექნიკურ ან უსაფრთხოების მოთხოვნებს, ან რომლებიც აღარ არის მხარდაჭერილი **ბანკის** მიერ.

- 10.4. მოქმედი კანონმდებლობით დაშვებულ ნებადართულ ფარგლებში, ყველა გარანტია, პირობა ან დებულება, იქნება ეს გამოხატული, ნაგულისხმევი, კანონით განსაზღვრული თუ სხვა, მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, სიზუსტის, ხარისხის, სავაჭრო შესაფერისობის, კონკრეტული მიზნისთვის ვარგისიანობის, უსაფრთხოების ან შეუფერხებელი, უშეცდომო მუშაობის გარანტიები, პირდაპირ გამოირიცხება მობილურ ბანკთან და **კრიპტო-მოდულთან** მიმართებაში.
- 10.5. მოქმედი კანონმდებლობით ნებადართულ ფარგლებში, **ბანკი** არ აგებს პასუხს იმ ზარალსა თუ ზიანზე, რომელიც გამოწვეულია მონაცემების გადაცემის შეცდომებით, ტექნიკური ხარვეზებით, სისტემის გაუმართაობით, მომსახურების შეფერხებით, კიბერინციდენტებით, თქვენ ან მესამე პირის მიერ გამოყენებულ საკომუნიკაციო ქსელებში, ინფორმაციულ სისტემებსა თუ მოწყობილობებში უკანონო ჩარევით, ან დაკავშირებულია აღნიშნულთან.
- 10.6. ყოველგვარი ეჭვის გამორიცხვის მიზნით, გაცნობებთ, რომ ამ პუნქტის დებულებები არ არის ამომწურავი. დამატებითი პირობები, უფლებები და ვალდებულებები, რომლებიც დაკავშირებულია **მობილური ბანკის** უსაფრთხოებასთან, წვდომასთან, ავთენტიფიკაციასთან, ავტორიზაციასა და გამოყენებასთან, მოცემულია **ბანკსა** და თქვენ შორის დადებულ **ხელშეკრულებაში ფიზიკური პირის საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ**, რომელიც შესაბამისად გამოიყენება.

11. ინფორმაციის, მასალებისა და მესამე მხარის კონტენტის მიწოდება

- 11.1. **კრიპტო-მოდულის** გამოყენებით, თქვენ აცნობიერებთ და ეთანხმებით, რომ:
- 11.1.1. **ბანკი** არ არის ვალდებული, მოგაწოდოთ რაიმე ინფორმაცია, მასალა, მონაცემები, ანალიტიკა, ანგარიშები, კვლევა, ბაზრის კომენტარი ან სხვა კონტენტი, რომელიც დაკავშირებულია **ციფრულ აქტივებთან**, პროდუქტებთან ან მომსახურებასთან; და
- 11.1.2. იმ შემთხვევაში, როდესაც ნებისმიერი ასეთი ინფორმაცია ან მასალა („**მასალები**“) მოწოდებულია რაიმე ფორმით, გთხოვთ, გაითვალისწინოთ რომ ასეთი **მასალები** ხელმისაწვდომი ხდება მხოლოდ თქვენი საინფორმაციო მიზნებისთვის და არ შეიძლება მათი კოპირება, გადანაწილება, გამოქვეყნება ან სხვაგვარად გამჟღავნება მესამე პირებისთვის **ბანკის** წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე.
- 11.2. თქვენ აცნობიერებთ და ეთანხმებით, რომ **ბანკი** არ მოქმედებს, როგორც თქვენი საინვესტიციო მრჩეველი, ფიდუციარი, ბროკერი-დილერი ან ფინანსური კონსულტანტი. **კრიპტო-მოდულის** ან მობილური ბანკის მეშვეობით ხელმისაწვდომი არცერთი **მასალა** არ წარმოადგენს ინვესტიციასთან დაკავშირებულ რჩევას, რეკომენდაციას, მოთხოვნას ან მხარდაჭერას ნებისმიერი ტრანზაქციის დასადასტურებლად, ან



იმის მტკიცებას, რომ ნებისმიერი **ციფრული აქტივი** ან ტრანზაქცია თქვენთვის შესაფერისი, მიზანშეწონილი ან სასურველია.

- 11.3. **ბანკი მასალებს კრიპტო-მოდულის** მეშვეობით ხელმისაწვდომს ხდის მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და, საჭიროების შემთხვევაში, შეიძლება დაეყრდნოს დამოუკიდებელი ინფორმაციის პროვაიდერი მესამე მხარის მიერ მოწოდებულ ინფორმაციას. მიუხედავად იმისა, რომ **ბანკი** იღებს გონივრულ ზომებს იმის უზრუნველსაყოფად, რომ ასეთი **მასალები** წარმოდგენილი იყოს მისი შიდა პროცედურებისა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, **ბანკი** არ იძლევა გარანტიას, რომ **მასალები**, მათ შორის, საბაზრო მონაცემები, ფასები, **კოტირებები**, ანალიტიკა, სიახლეები ან კვლევა, ყოველთვის ზუსტი, სრული, განახლებული ან შეცდომებისგან თავისუფალია და **ბანკი** არ არის ვალდებული მუდმივად გადაამოწმოს, განაახლოს ან შეასწოროს ასეთი **მასალები**.
- 11.4. **კრიპტო-მოდული** და კრიპტოსთან დაკავშირებული მომსახურებები შეიძლება იყოს დამოკიდებული, ინტეგრირებული ან უზრუნველყოფდეს წვდომას საბაზრო მონაცემებზე, ფასებზე, ანალიტიკაზე, სიახლეებზე, კვლევებზე, გარე ვებსაიტებზე, API-ებზე, ბლოკჩეინ-ქსელებზე, საფულებზე, ქასთოდიაწურ მომსახურებაზე, ლიკვიდურობაზე ან მესამე პირების მიერ მოწოდებულ სხვა კონტენტსა და მომსახურებებზე (ერთობლივად, „**მესამე პირის კონტენტი და მომსახურება**“). მსგავსი **მესამე პირის კონტენტი და მომსახურებები** მოწოდებულია მხოლოდ საინფორმაციო ან საოპერაციო მიზნებისთვის და არ კონტროლდება, არ იმართება და არ ინახება **ბანკის** მიერ, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.
- 11.4.1. მიუხედავად იმისა, რომ **ბანკი** მოქმედი კანონმდებლობისა და მისი შიდა პროცედურების შესაბამისად იღებს გონივრულ ზომებს **მესამე პირის კონტენტისა და მომსახურებების** შესარჩევად და გამოსაყენებლად, **ბანკი** არ იძლევა გარანტიებს, რომ **მესამე პირის აღნიშნული კონტენტი და მომსახურებები** ყოველთვის იქნება ზუსტი, სრული, განახლებული, შეუფერხებელი ან უშეცდომო. **ბანკი** არ გასცემს ინვესტიციებთან დაკავშირებულ რჩევებსა თუ რეკომენდაციებს **მესამე პირის კონტენტისა და მომსახურებების** საფუძველზე, ხოლო **კლიენტები** თავად არიან პასუხისმგებელი საკუთარი ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებაზე.
- 11.4.2. **ბანკს** შეუძლია ნებისმიერ დროს შეცვალოს, ჩაანაცვლოს, შეაჩეროს ან შეწყვიტოს წვდომა **მესამე პირის ნებისმიერ კონტენტსა და მომსახურებაზე** ოპერაციული, სამართლებრივი, მარეგულირებელი, უსაფრთხოების ან რისკების მართვის მიზეზების გამო და არ აგებს პასუხს რაიმე სახის ზარალზე ან ზიანზე, რომელიც გამოწვეულია ან დაკავშირებულია აღნიშნულ ცვლილებასთან, შეჩერებასთან ან შეწყვეტასთან.
- 11.4.3. **მესამე პირის კონტენტსა და მომსახურებაზე** ყველა ინტელექტუალური საკუთრების უფლება რჩება შესაბამისი მომსახურების პროვაიდერი მესამე პირის ექსკლუზიურ საკუთრებად და ამგვარი კონტენტის გამოყენება შეიძლება



დაექვემდებაროს შესაბამისი მომსახურების პროვაიდერის მესამე პირის მიერ დაწესებულ ცალკეულ წესებსა და პირობებს.

- 11.5. მარეგულირებელი ან სამართლებრივი შეზღუდვების გამო **კრიპტო-მოდულზე** წარმოდგენილი გარკვეული **ციფრული აქტივები**, მომსახურებები ან კონტენტი, შესაძლოა, არ იყოს ხელმისაწვდომი ან დაშვებული გარკვეულ იურისდიქციებში მოღვაწე ან მომხმარებლების გარკვეულ კატეგორიებში მყოფი **კლიენტებისთვის**. ასეთი ხელმისაწვდომობა/დასაშვებობა შეიძლება შეიცვალოს წინასწარი შეტყობინების გარეშე.

12. მომსახურება და სხვა შეტყობინებები

- 12.1. თქვენ ადასტურებთ, რომ წინამდებარე **პირობებთან** დაკავშირებით თქვენსა და **ბანკს** შორის გაცვლილი ნებისმიერი შეტყობინება ან სხვა სახის კომუნიკაცია უნდა განხორციელდეს იმ დებულებების შესაბამისად, რომლებიც არეგულირებს შეტყობინებებსა და კომუნიკაციებს, რომლებიც მითითებულია **ბანკსა** და თქვენ შორის გაფორმებულ **ხელშეკრულებაში ფიზიკური პირის საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ** (მასში შეტანილი პერიოდული ცვლილებების გათვალისწინებით).

13. პასუხისმგებლობა, პასუხისმგებლობის შეზღუდვა და აღსრულება

- 13.1. **კლიენტის** მიერ **ბანკის** წინაშე ამ პირობებით ან/და **კლიენტსა** და **ბანკს** შორის სხვა ნებისმიერი შეთანხმებით (მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, სესხის, უზრუნველყოფისა ან/და სხვა საბანკო ხელშეკრულებებით) ნაკისრი ნებისმიერი ვალდებულების სრულად და სათანადოდ შესრულების უზრუნველსაყოფად, **კლიენტი** წინამდებარე **პირობების** დათანხმებით შეუქცევადად ანიჭებს უფლებას **ბანკს**, **ბანკის** შეხედულებისამებრ, **კლიენტის** მიერ დარღვევის, არასათანადო შესრულების ან ასეთი დარღვევის ან არასათანადო შესრულების გონივრული რისკის არსებობის შემთხვევაში, განახორციელოს ნებისმიერი ქვემოთ ჩამოთვლილი ქმედება, წინასწარი შეტყობინების გარეშე (თუ ეს ნებადართულია კანონით):
- 13.1.1. შეზღუდოს, გაყინოს ან დაბლოკოს **კლიენტის** წვდომა **კრიპტო-მოდულზე** ან/და შეზღუდოს **კლიენტის** შესაძლებლობა განკარგოს, გაყიდოს ან სხვაგვარად გამოიყენოს **კლიენტის ანგარიშზე** დაფიქსირებული **ციფრული აქტივები**;
- 13.1.2. გაყიდოს **კლიენტის ანგარიშზე** შენახული **ციფრული აქტივები** (სრულად ან/და ნაწილობრივ), და გამოიყენოს **ფულადი სახსრები კლიენტის** ვადამოსული ფულადი ვალდებულებების დასაფარად. ასეთ შემთხვევაში, ტრანზაქცია განხორციელდება **ბანკის** ინფრასტრუქტურაში აღსრულების მომენტში მოქმედი საბაზრო ფასით.
- 13.1.3. შესაბამის გადახდის/ანგარიშსწორების თარიღზე, მოახდინოს შემოსული თანხის კონვერტაცია საჭირო ვალუტაში კომერციული გაცვლითი კურსით, რომელსაც იყენებს **ბანკის** მიერ ჩართული **კრიპტო საფულე/მომსახურების პროვაიდერი** (ან



ნებისმიერი სხვა კურსით, რომელსაც **ბანკი** იყენებს ჩვეულ რეჟიმში, საჭიროებისამებრ) და მიღებული თანხა გამოიყენოს **კლიენტის** ფინანსური ვალდებულებების დასაფარად **ბანკის** ან/და ნებისმიერი მესამე მხარის მიმართ, თუ **ბანკი** უფლებამოსილია ან ვალდებულია, დაფაროს ასეთი ვალდებულებები **კლიენტის** სახელით; და

13.1.4. **კლიენტის** მიერ **ბანკის** მიმართ არსებული ნებისმიერი ვალდებულები გაქვითოს **ბანკის** მიერ **კლიენტის** მიმართ არსებულ ნებისმიერ ვალდებულებებთან, მიუხედავად ამ ვალდებულებების ხასიათისა, ვადიანობისა ან ვალუტისა.

13.2. **ბანკი** არ არის პასუხისმგებელი იმ ხარჯების, სპრედების, საკომისიოების ან სხვა გადასახადების ზრდაზე, ცვლილებაზე ან ვარიაციაზე, რომლებიც ვრცელდება ყიდვა/გაყიდვის ოპერაციებზე, თუ ასეთი ცვლილება განპირობებულია **ბანკის** მიერ ჩართული **კრიპტო საფულის/ქასთოდინური სერვისის პროვაიდერის**, ლიკვიდურობის პროვაიდერის ან სხვა მესამე პირების და/ან/ან საბაზრო პირობებით.

13.3. მიუხედავად წინამდებარე პირობებში არსებული ნებისმიერი საწინააღმდეგო დებულებისა, **ბანკი** არ არის პასუხისმგებელი რაიმე არაპირდაპირ, შემთხვევით, განსაკუთრებულ ან თანმდევ ზიანზე, მათ შორის, მიუღებელ შემოსავალზე, შესაძლებლობის დაკარგვაზე, ბიზნესის შესაძლებლობის დაკარგვაზე, სავაჭრო ზარალზე, მოსალოდნელი დანაზოგის დაკარგვაზე, რეპუტაციულ ზიანზე ან ნებისმიერ პრეტენზიაზე, რომელიც წარმოიშობა **კლიენტის** მიერ ტრანზაქციის სასურველ დროს ან სასურველ ფასად შესრულების შეუძლებლობიდან.

13.4. მოქმედი კანონმდებლობით დაშვებულ მაქსიმალურ ფარგლებში, **კლიენტი** ვალდებულია დაიცვას, აუნაზღაუროს და უვნებელი დატოვოს **ბანკი**, მისი შვილობილი კომპანიები, თანამშრომლები, ოფიცრები, დირექტორები და აგენტები (შემდგომში „ანაზღაურებული პირები“) ნებისმიერი პრეტენზიის, ზარალის, ვალდებულების, ზიანის, ხარჯისა და დანახარჯებისაგან (მათ შორის გონივრული იურიდიული ხარჯებისგან), რომელიც წარმოიშობა ან დაკავშირებულია **კლიენტის** მიერ წინამდებარე პირობების დარღვევასთან; **კლიენტის** მიერ მათი ანგარიშის არასწორად მართვასთან, მათ შორის, ავტორიზაციის მონაცემების უსაფრთხოდ შენახვის შეუძლებლობასთან, უნებართვო წვდომის დაშვებასთან, ან **ბანკის** მიერ მოწოდებული მითითებებისა და ინსტრუქციების შეუსრულებლობასთან; **კლიენტის** მობილური **ბანკის** ან **კრიპტო-მოდულის** წვდომის ნებისმიერი უნებართვო გამოყენება, რომელიც უკავშირდება **კლიენტს** ან/და მესამე პირის ნებისმიერი პრეტენზია, რომელიც გამომდინარეობს **კლიენტის** ქმედებებიდან, ინსტრუქციებიდან ან ტრანზაქციებიდან **კრიპტო-მოდულის** მეშვეობით; **კლიენტის** მიერ ინფორმაციის არასწორად წარმოდგენა, ქმედება ან უმოქმედობა ან ინფორმაციის სავარაუდოდ არასწორად წარმოდგენა, ქმედება ან უმოქმედობა; ანაზღაურების მიმღები პირების მიერ **კლიენტის** მითითებების ან ინსტრუქციების შესრულება ან **კლიენტის** ან მათი უკანონო ან დაუსაბუთებელ მითითებების ან ინსტრუქციების შესრულებლობა; ანაზღაურების მიმღები პირების ნებისმიერი საქმიანობა ან მომსახურება ანგარიშთან დაკავშირებით **კლიენტის** მითითებების შესაბამისად ან/და წინამდებარე პირობების დაცვით; **ბანკის** მიერ არაკონტროლირებადი ნებისმიერი



პირის (ყოველგვარი ეჭვის თავიდან ასაცილებლად, ეს მოიცავს **ბანკის** ნებისმიერ აფილირებულ და შვილობილ კომპანიას ან მესამე პირს ან **საფულის პროვაიდერს**) მიერ **კლიენტის** წინაშე ნებისმიერი ვალდებულების შეუსრულებლობა, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც ასეთი ზიანი განცდილია ან გაღებულია **ბანკის** უხეში დაუდევრობით ან განზრახ ქმედების შედეგად.

- 13.5. **კლიენტი** თანახმაა, რომ **ბანკის** წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე ის არ მორიგდება ან არ დასთანხმდება ნებისმიერ გადაწყვეტილებას ნებისმიერ მიმდინარე ან მოსალოდნელ მოთხოვნასთან, ქმედებასთან ან პროცესთან დაკავშირებით, რომელიც ეხება წინამდებარე **პირობებში** გაწერილ **ბანკის** ვალდებულებას, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ასეთი მორიგება, შეთანხმება ან თანხმობა მოიცავს **ბანკისა** და სხვა ანაზღაურებადი პირების უპირობო გათავისუფლებას ყველა პასუხისმგებლობისგან, რომელიც გამომდინარეობს ასეთი მოთხოვნისგან, ქმედებისგან ან პროცესისგან და არ მოიცავს განცხადებას ან აღიარებას ნებისმიერი **ანაზღაურებადი პირის** მიერ ან მისი სახელით ჩადენილ შეცდომაზე, ბრალეულობაზე ან უმოქმედობაზე.
- 13.6. წინამდებარე **პირობებში** არაფერი არ უნდა განიმარტოს, ისე, თითქმის, **ბანკი** ან ნებისმიერი სხვა **ანაზღაურებული პირები კლიენტის** მიმართვისრულობენ ფიდუციარულ ვალდებულებებს.
- 13.7. მოქმედი კანონმდებლობით დაშვებულ მაქსიმალურ ფარგლებში, **ბანკის** მთლიანი ჯამური პასუხისმგებლობა **კლიენტის** წინაშე (**ბანკის** მოქმედების ფორმის მიუხედავად) არ უნდა აღემატებოდეს **კლიენტის** მიერ წინამდებარე **პირობების** ფარგლებში **ბანკისთვის** იმ ბოლო კალენდარული წლის განმავლობაში გადახდილი ჯამური საკომისიოების 50%-ს (ორმოცდაათ პროცენტს), რომელიც წინ უსწრებს კლიენტის მოთხოვნის გამომწვევ მოვლენას.
- 13.8. თუ **კლიენტის** ანგარიშიდან მუდმივად დაიკარგება **ციფრული აქტივები** (მუდმივ დაკარგვად ჩაითვლება **ციფრული აქტივების** ნებისმიერი დანაკარგი, რომელიც უწყვეტად არ აღირიცხება **კლიენტის** ანგარიშზე სამოცი (60) დღის განმავლობაში) **ბანკის** სისტემის გატეხვის ან უსაფრთხოების დარღვევის შედეგად, **ბანკის** საერთო პასუხისმგებლობა ამ ინციდენტზე განისაზღვრება ყოველი ცალკეული ინციდენტის მიხედვით. თითოეული ასეთი ინციდენტისთვის ბანკის ჯამური პასუხისმგებლობა უნდა შემოიფარგლოს დაკარგული აქტივების („**დაკარგული აქტივები**“) საბაზრო ღირებულების ასი პროცენტით (100%) (საბაზრო ღირებულება თავის მხრივ განისაზღვრება ინციდენტის დაფიქსირების უშუალოდ წინა მომენტით). ამ პუნქტის მიზნებისათვის, **დაკარგული აქტივების** საბაზრო ღირებულება განისაზღვრება იმ საბაზრო ფასების მითითებით, რომლებიც იმ დროს **კრიპტო-მოდულში** მისი საქმიანობის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას გამოიყენება.
- 13.8.1. თუ წინამდებარე მუხლის შესაბამისად **ბანკი** პასუხისმგებელია **დაკარგული აქტივით კლიენტისთვის** მიყენებულ ზიანზე, **ბანკი** ჩაანაცვლებს დაკარგულ **ციფრულ აქტივებს** ანალოგიური პრინციპით, **კლიენტისთვის შესაბამისი ციფრული აქტივების** იმავე ტიპისა და რაოდენობის ჩარიცხვით.



- 13.8.2. **კლიენტი** აცნობიერებს და თანახმაა, რომ ასეთ შემთხვევაში, მას არ ექნება პრეტენზია **ბანკის** მიმართ ფასების ცვლილებებიდან, არასტაბილურობიდან, დაკარგული შესაძლებლობებიდან, მიუღებელი შემოსავლიდან ან შესაბამის პერიოდში ტრანზაქციების შესრულების შეუძლებლობიდან გამომდინარე მისთვის მიყენებული ნებისმიერი ზიანის გამო.
- 13.8.3. ეს პუნქტი არ ვრცელდება იმ შემთხვევებზე, როცა ზიანი გამოწვეულია **კლიენტის** ქმედებით ან უმოქმედობით, მათ შორის, **კლიენტის მობილური ბანკის** მონაცემების, მოწყობილობის უსაფრთხოების ან **კლიენტის** მხრიდან არაავტორიზებული წვდომის შედეგად.
- 13.9. მოქმედი კანონმდებლობით ნებადართულ ფარგლებში, **ბანკი** არ არის პასუხისმგებელი არაპირდაპირ, შემთხვევით, განსაკუთრებულ ან თანმდევ დანაკარგებზე ან ზიანზე, მათ შორის მოგების, შესაძლებლობის, მონაცემების, ბიზნეს შესაძლებლობის ან რეპუტაციის დაკარგვაზე, რომელიც წარმოიშობა **კრიპტო-მოდულსა** ან/და **მომსახურებებზე** მოქმედი ტექნიკური ან საოპერაციო საკითხებიდან გამომდინარე. ასეთი საკითხები შეიძლება წარმოიშვას, მაგალითად, **ბანკის** სისტემების ან ინფრასტრუქტურის, **მომსახურების მიმწოდებელი მესამე მხარის** სისტემების ან ინფრასტრუქტურის გამოყენებიდან ან ტექნიკური მომსახურების გაწვიდან, ან დაგეგმილი ან საგანგებო ტექნიკური მომსახურების გაწვიდან, განახლებებიდან ან მსგავსი ტექნიკური სამუშაოებიდან, რომლებიც შესრულებულია **ბანკის** მიერ ან მისი სახელით.
- 13.10. **ბანკი** არ არის პასუხისმგებელი **კლიენტის** წინაშე წინამდებარე **პირობებით** გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისას წარმოქმნილი ნებისმიერი ზიანის, წარუმატებლობის, შეფერხების ან დაყოვნების გამო, თუ ასეთი ზიანი, წარუმატებლობა, შეფერხება ან დაყოვნება პირდაპირ ან არაპირდაპირ გამოწვეულია გარემოებებით, რომლებიც არ ექვემდებარება მის გონივრულ კონტროლს. ფორს-მაჟორული მოვლენები მოიცავს (მაგრამ არ შემოიფარგლება) გამოცხადებულ ან გარდაუვალ ომს, ტერორიზმის აქტებს, აჯანყებას, სამოქალაქო არეულობას, ბუნებრივ კატასტროფებს, სხვა მიზეზებს, რომლებიც საყოველთაოდ ცნობილია, როგორც „გარდაუვალი ძალის ქმედება“, საკანონმდებლო დებულებებს, სახელმწიფო ორგანოების მიერ მიღებულ ზომებს, გაფიცვებს, ლოკაუტებს, ბოიკოტებს ან ბლოკადებს, მიუხედავად იმისა, **ბანკი** კონფლიქტის მხარეა თუ არა, და მათ შორის შემთხვევებს, როდესაც **ბანკის** მხოლოდ ნაწილი ფუნქციებია დაზარალებული ასეთი მოვლენებით, ნებისმიერ ტექნიკურ სირთულეს, როგორიცაა ტელეკომუნიკაციების შეფერხებები ან დარღვევები, **მობილური ბანკის** ან **კრიპტო-მოდულის** ხელმიწვდომლობა (მაგ., ტექნიკური შეჩერების გამო), კიბერ-შეტევები ან კიბერ-ინციდენტები, ბირჟის ან ბაზრის გადაწყვეტილებები, ელ-ფოსტის ან სხვა საკომუნიკაციო სისტემების პრობლემები, სავაჭრო შეფერხებები, მექანიკური ან ელექტრონული შეფერხებები, მესამე პირების მიერ ინსტრუქციების შეუსრულებლობა, ტექნიკური პრობლემები, მათ შორის, აპარატურული და პროგრამული შეფერხებები და სხვა დარღვევები, სატელეკომუნიკაციო ან საინფორმაციო მომსახურების



ინფრასტრუქტურის შეფერხება, ჰაკერობა, სპამი ან ნებისმიერი კომპიუტერის, სერვერის ან პროგრამული უზრუნველყოფის შეფერხება ან დარღვევა, რომელიც გამოწვეულია ვანდალიზმით, ქურდობით, სატელეფონო მომსახურების შეწყვეტით, ელექტროენერგიის გათიშვით, ინტერნეტის შეფერხებით, ვირუსებით და მექანიკური, ელექტროენერგიის ან საკომუნიკაციო შეფერხებებით, ან ნებისმიერი სხვა მიზეზით, რომელიც გონივრულად არ არის **ბანკის** კონტროლის ქვეშ, იმის მიუხედავად, იყო თუ არა ასეთი მიზეზი გონივრულად პროგნოზირებადი. გარდა ამისა, **ბანკი** არ არის პასუხისმგებელი ზოგადი საბაზრო პირობებით გამოწვეულ ზიანზე.

14. კლიენტის გარანტიები და განცხადებები

14.1. თქვენ იძლევიტ გარანტიას და აცხადებთ, რომ:

14.1.1. თქვენ ხართ სრულწლოვანი ფიზიკური პირი და არ გაქვთ რაიმე სამართლებრივი შეზღუდვა და არ ექვემდებარებით რაიმე კანონსა თუ რეგულაციას, რომელიც ხელს უშლის თქვენს საქმიანობას წინამდებარე **პირობების** ფარგლებში;

14.1.2. თქვენ მიიღეთ ყველა საჭირო თანხმობა და გაქვთ უფლებამოსილება იმოქმედოთ წინამდებარე **პირობების** შესაბამისად და მისი მიხედვით და გამოიყენოთ **კრიპტო-მოდული**;

14.1.3. ნებისმიერი სახსრები ან/და სხვა აქტივები, რომლებიც თქვენ მიერ არის მოწოდებული ნებისმიერი მიზნით ამ **პირობების** ფარგლებში, ყოველთვის თავისუფალი იქნება ნებისმიერი გადასახადისგან, ყადაღისგან, გირავნობისგან ან დატვირთვისგან და იქნება თქვენი საკუთრება;

14.1.4. თქვენ იცავთ ყველა კანონს, რომელიც თქვენზე ვრცელდება, მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, ყველა საგადასახადო კანონსა და რეგულაციას; და

14.1.5. თქვენ მიერ **ბანკისთვის მობილური ბანკისა** და **კრიპტო-მოდულის** გამოყენებასთან დაკავშირებით მიწოდებული ინფორმაცია არის სრული, ნამდვილი და ზუსტი და არ არის მცდარი. თქვენ ხართ პასუხისმგებელი ბანკისთვის მიწოდებული ნებისმიერი ინფორმაციის სისწორეზე და იძლევიტ გარანტიას, რომ ნებისმიერი ასეთი ინფორმაცია იქნება განახლებული და მოქმედი. წინააღმდეგ შემთხვევაში, **ბანკს** უფლება აქვს მიმართოს წინამდებარე **პირობებში** აღნიშნულ ნებისმიერ ქმედებას, მათ შორის, მაგრამ არა მხოლოდ, იმ ქმედებებს, რომლებიც აღწერილია შესაბამის მუხლებში, რომლებიც არეგულირებს **კრიპტო-მოდულზე** ან/და თქვენს **ანგარიშზე** წვდომის შეზღუდვას, შეჩერებასა და შეწყვეტას. ამ პუნქტში აღნიშნული ვალდებულებების დარღვევით გამოწვეულ ზიანზე ან ნებისმიერ პოტენციურ ზიანზე პასუხისმგებელი ხართ თქვენ.

14.1.6. თქვენ გაცნაით და ეთანხმებით ამ **პირობებს** (მათ შორის, ყველა დანართსა და დოკუმენტს, რომლებიც აქ არის მითითებული) და ადასტურებთ, რომ მომსახურებები უზრუნველყოფილია და გამოიყენება ამ **პირობების** შესაბამისად, რომლებიც დროდადრო შეიძლება შეიცვალოს;



- 14.1.7. თქვენ ადასტურებთ, რომ მიიღეთ, წაიკითხეთ და გაიგეთ რისკების გამჟღავნების დოკუმენტი, რომელიც ამ პირობების განუყოფელი ნაწილია და აცნობიერებთ რისკებს, რომლებიც დაკავშირებულია **ციფრულ აქტივებთან** და **კრიპტო-მოდულის** გამოყენებასთან;
- 14.1.8. თქვენ ხართ პასუხისმგებელი ნებისმიერ გადასახადზე, ბაჟზე ან სხვა სამართლებრივ ვალდებულებაზე, რომელიც შეიძლება წარმოიშვას **კრიპტო-მოდულის** გამოყენებასთან დაკავშირებით, მათ შორის **ვირტუალური აქტივების** შეძენა, შენახვა, გადაცემა ან განკარგვა.
- 14.2. ზემოაღნიშნული გარანტიები და განცხადებები ჩაითვლება განმეორებულად ყოველ ჯერზე, როცა თქვენ იყენებთ **კრიპტო-მოდულს** და ამ **პირობების** მოქმედების განმავლობაში.
- 14.3. მხოლოდ თქვენ იქნებით პასუხისმგებელი იმ უფლებებისა და პირობების ცოდნაზე, რომლებიც ვრცელდება **კრიპტო-მოდულის** მეშვეობით შეძენილ, გაყიდულ და შენახულ ყველა **ციფრულ აქტივზე**, მათ შორის ნებისმიერ მოვლენაზე ან ცვლილებაზე, რომელიც გავლენას ახდენს ასეთ **ციფრულ აქტივებზე** (მათ შორის, ფორკები (forks), პროტოკოლის განახლებები, მიგრაციები, სახელის ცვლილებები, **სიიდან ამოღება**, ვაჭრობის შეჩერება ან სხვა მსგავსი მოვლენები). გარკვეულ **ციფრულ აქტივებზე**, შესაძლოა, ვრცელდებოდეს შეზღუდვები, ცვლილებები ან მოვლენები, რომლებიც, შესაძლოა, მოითხოვდეს თქვენ მიერ კონკრეტული ქმედებების შესრულებას გარკვეულ ვადებში. თქვენ ხართ პასუხისმგებელი ამგვარ **ციფრულ აქტივებთან** დაკავშირებული ნებისმიერი მოქმედი ვადისა და შედეგების მონიტორინგზე. **ბანკს** შეუძლია, მაგრამ არ არის ვალდებული, გაცნობოთ ნებისმიერი ასეთი მოვლენის შესახებ. ყოველგვარი ეჭვის გამორიცხვის მიზნით, გაცნობებით, რომ **ბანკი** არ არის ვალდებული, მიიღოს რაიმე ზომები ასეთ მოვლენებთან დაკავშირებით და არ არის პასუხისმგებელი ნებისმიერი სახის ზიანზე, რაიმე ზომის მიუღებლობის შემთხვევაში.

15. სრულად ან ნაწილობრივ შეჩერება ან შეწყვეტა

- 15.1. წინამდებარე **პირობები** ძალაში შედის თქვენ მიერ მათი დადასტურების მომენტიდან და ძალაში რჩება **ბანკის** ან თქვენ მიერ წინამდებარე **პირობების** შესაბამისად მის შეწყვეტამდე.
- 15.2. **კრიპტო-მოდულზე** ან/და თქვენს **ანგარიშზე** წვდომა შეიძლება შეჩერდეს, შეიზღუდოს ან შეწყდეს, მთლიანად ან ნაწილობრივ, ნებისმიერ დროს თქვენ მიერ ან **ბანკის** მიერ ამ **პირობების** შესაბამისად. ყოველგვარი ეჭვის გამორიცხვის მიზნით, **მობილური ბანკის** ფარგლებში **კრიპტო-მოდულის** ხელმისაწვდომობა ან ხილვადობა თავისთავად არ გულისხმობს, რომ თქვენ გაქვთ აქტიური **ანგარიში**. **ანგარიშის** მოქმედება შეიძლება შეჩერდეს, შეიზღუდოს ან შეწყდეს მაშინაც კი, თუ **კრიპტო-მოდული მობილურ ბანკში** ხილვადი რჩება.
- 15.3. **კრიპტო-მოდული** ხელმისაწვდომია მხოლოდ **მობილური ბანკის** იმ აქტიური მომხმარებლებისთვის, რომლებსაც აქვთ აქტიური **საბანკო ანგარიში**. შესაბამისად,



მობაილ ბანკზე თქვენი წვდომის შეჩერება, შეზღუდვა ან შეწყვეტა (ნებისმიერი მიზეზით) ან **საბანკო ანგარიშის** შეჩერება, შეზღუდვა ან შეწყვეტა ავტომატურად გამოიწვევს **კრიპტო-მოდულზე** ან/და **ანგარიშზე** თქვენი წვდომის შესაბამის შეჩერებას, შეზღუდვას ან შეწყვეტას.

- 15.4. **ბანკს** შეუძლია, ნებისმიერ დროს და საკუთარი შეხედულებისამებრ, შეზღუდოს, შეაჩეროს, გაყინოს ან შეწყვიტოს თქვენი წვდომა **კრიპტო-მოდულზე** ან/და **ანგარიშზე** (მხოლოდ კონკრეტულ ფუნქციებზე ასეთი შეჩერების, შეზღუდვის, გაყინვის, შეწყვეტის ჩათვლით), დაუყოვნებლივ და წინასწარი შეტყობინების გარეშე, თუ **ბანკი** გონივრულად ჩათვლის, რომ ასეთი ქმედება აუცილებელია ან მიზანშეწონილია, მათ შორის ისეთ შემთხვევაშიც, თუ:
- 15.4.1. აუცილებელია **კრიპტო-მოდულის, ანგარიშის, მობილური ბანკის** ან **ბანკის** სისტემების უსაფრთხოების, მთლიანობის ან სათანადო ფუნქციონირების დაცვა;
- 15.4.2. თქვენ არღვევთ წინამდებარე **პირობებს**, უსაფრთხოების მოქმედ მოთხოვნებს ან **ბანკთან** სხვა მოქმედ შეთანხმებას **მობილური ბანკის** გამოყენებასთან დაკავშირებით;
- 15.4.3. არსებობს ეჭვი, რომ რომელიმე ტრანზაქცია ან საქმიანობა არის არავტორიზებული, თაღლითური, საეჭვო, შეურაცხმყოფელი ან დაკავშირებულია ფულის გათეთრებასთან, ტერორიზმის დაფინანსებასთან ან სხვა უკანონო საქმიანობასთან;
- 15.4.4. **ბანკი** შეიტყობს, ან გონივრულად ეჭვობს, რომ **ანგარიშზე** ჩარიცხული **ციფრული აქტივები** დაკავშირებულია დანაშაულებრივ შემოსავალთან ან არ არის თქვენი კანონიერი საკუთრება;
- 15.4.5. **ბანკი** ვერ ახერხებს თქვენი ვინაობის, უფლებამოსილების, ინსტრუქციების ან თქვენ მიერ მოწოდებული ნებისმიერი ინფორმაციის გადამოწმებას ან ავთენტიფიკაციას;
- 15.4.6. **ბანკი** გონივრულად მიიჩნევს, რომ თქვენმა ქმედებებმა შეიძლება თქვენ, **ბანკს** ან სხვა **კლიენტებს** წარმოუშვას სამართლებრივი, მარეგულირებელი, ფინანსური ან რეპუტაციული რისკი;
- 15.4.7. **ბანკი** გადაწყვეტს **კრიპტო-მოდულის** ან მისი რომელიმე ნაწილის შეწყვეტას, შეჩერებას ან არსებითად შეცვლას;
- 15.4.8. **ბანკს** ევალდება რომ იმოქმედოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, სასამართლოს გადაწყვეტილების ან კომპეტენტური სამთავრობო ან მარეგულირებელი ორგანოს მითითების (მათ შორის, საქართველოს ეროვნული ბანკის ან/და საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ) შესაბამისად;
- 15.4.9. თქვენ ხართ „შეზღუდული პირი“, ვერ აკმაყოფილებთ დასაშვებობის კრიტერიუმებს ან სხვაგვარად ხდებით შეუსაბამო წინამდებარე **პირობების** მიხედვით;
- 15.4.10. **ბანკი** საჭიროდ ჩათვლის **მომსახურებების** შეჩერებას, შეზღუდვას ან შეწყვეტას (სრულად ან ნაწილობრივ) სისტემის ტექნიკური მომსახურების, განახლების,



- ტესტირების, უსაფრთხოების პაჩების ან სხვა ოპერაციული მიზნებისთვის, მათ შორის, როცა ასეთი ტექნიკური მომსახურება ხორციელდება ბანკის ან ნებისმიერი მომსახურების მიმწოდებელი მესამე მხარის მიერ;
- 15.4.11. თქვენ არღვევთ ბანკის ან ნებისმიერი მესამე პირის ინტელექტუალური საკუთრების უფლებებს, ან ცდილობთ ბანკის მობილური აპლიკაციის ან კრიპტო-მოდულის უსაფრთხოების ზომების ბოროტად გამოყენებას, მანიპულირებას, უკუპროექტირებას, დაზიანებას ან გვერდის ავლას; ან/და
- 15.4.12. არსებობს საბაზრო დესტაბილიზაციის შემთხვევა, ლიკვიდურობის შეფერხება, ვაჭრობის შეჩერება ან სხვა საბაზრო მდგომარეობა, რომელიც ამართლებს ასეთ ქმედებას ბანკის გონივრული მოსაზრებით.
- 15.5. მოქმედი კანონმდებლობით დაშვებულ მაქსიმალურ ფარგლებში, ბანკი არ არის ვალდებული, გაამუდავნოს ანგარიშის, კრიპტო-მოდულის ან მასთან დაკავშირებული ნებისმიერი ფუნქციის შეჩერების, შეზღუდვის, გაყინვის ან შეწყვეტის საფუძველი ან მიზეზი.
- 15.6. თქვენ შეგიძლიათ შეწყვიტოთ წინამდებარე პირობები და მოითხოვოთ ანგარიშის დახურვა ნებისმიერ დროს, იმ პირობით, რომ შეწყვეტამდე:
- 15.6.1. ყველა დადებული ან დაუსრულებელი დავალება/ტრანზაქცია სათანადოდ შესრულებული ან გაუქმებულია (საჭიროებისამებრ); და
- 15.6.2. ანგარიშზე არ არის ასახული ციფრული აქტივები.
- 15.7. თუ ციფრული აქტივები კვლავ რჩება თქვენს ანგარიშზე, თქვენ აცნობიერებთ, რომ წინამდებარე პირობების შეწყვეტა და ანგარიშის დახურვა ვერ დამუშავდება, სანამ არ გაყიდით ყველა ასეთ ციფრულ აქტივს და შესაბამისი გაყიდვის ტრანზაქციები არ დასრულდება.
- 15.8. კრიპტო-მოდულზე ან/და ანგარიშზე თქვენი წვდომის შეჩერების ან შეწყვეტის შემდეგ:
- 15.8.1. ბანკს შეუძლია მიიღოს გონივრულად საჭირო ზომები შესაბამისობის შემოწმების, გამოძიების, რეკონსილაციისა და ანგარიშსწორების პროცესის დასასრულებლად, ან თქვენი, ბანკისა და/ან მესამე პირების დასაცავად; და
- 15.8.2. ბანკს შეუძლია ფლობდეს თქვენს ციფრული აქტივებს, თანხებსა და შესაბამის მონაცემებს/ინფორმაციას იმდენ ხანს, რამდენიც მოითხოვება მოქმედი კანონმდებლობით, მარეგულირებელი მოთხოვნებით, შიდა პოლიტიკით, გამოძიებებით ან საოპერაციო აუცილებლობით.
- 15.9. ბანკს შეუძლია შეწყვიტოს წინამდებარე პირობები ნებისმიერ დროს, ყოველგვარი მიზეზის მითითების გარეშე, თქვენთვის მინიმუმ ოცდაათი (30) კალენდარული დღით ადრე შეტყობინების გაგზავნით.
- 15.10. თუ მოქმედი კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული და მოქმედი კანონმდებლობით დაშვებულ მაქსიმალურ ფარგლებში, არც ბანკი და არც მისი სახელით მოქმედი რომელიმე მესამე პირი არ იქნება პასუხისმგებელი თქვენ წინაშე რაიმე ზარალზე ან/და ზიანზე, რომელიც წარმოიშობა ან დაკავშირებულია ანგარიშის შეჩერებასთან, შეზღუდვასთან, გაყინვასთან ან შეწყვეტასთან, ან კრიპტო-მოდულზე წვდომასთან, რომელიც განხორციელდა წინამდებარე პირობების



შესაბამისად, მათ შორის, ნებისმიერ ზიანზე, რომელიც გამოწვეულია შეფერხებებით, გადაცემის შეცდომებით, ტექნიკური ხარვეზებით, დეფექტებით, გაუმართაობით, ტექნიკური მომსახურებით, სისტემის შეფერხებებით, ან საკომუნიკაციო ქსელებში ან მოწყობილობებში უკანონო შეჭრით ან ჩარევით.

- 15.11. **კრიპტო-მოდულზე** ან/და **ანგარიშზე** თქვენი წვდომის შეწყვეტა ან შეჩერება წინამდებარე **პირობების** შესაბამისად არ შეწყვეტს და არ იმოქმედებს თქვენსა და **ბანკს** შორის სხვა **საბანკო** პროდუქტებთან ან **მომსახურებებთან** დაკავშირებულ სხვა შეთანხმებებზე, რომლებიც ძალაში დარჩება მათი პირობების შესაბამისად.

16. კონფიდენციალურობა და ინფორმაციის გამჟღავნება

- 16.1. არცერთმა მხარემ არ უნდა გაამჟღავნოს მეორე მხარის ბიზნესთან, ტრანზაქციებთან, ფინანსებთან ან სხვა საკითხებთან დაკავშირებული კონფიდენციალური ხასიათის ინფორმაცია, რომელსაც ის ამ **პირობების** შესრულების პროცესში შეიძლება ფლობდეს, და თითოეულმა მხარემ უნდა გამოიყენოს ყველა გონივრული ძალისხმევა, რათა თავიდან აიცილოს ნებისმიერი ასეთი გამჟღავნება. აღნიშნული არ ვრცელდება იმ შემთხვევებზე, როცა ინფორმაციის გამჟღავნება მოითხოვება მოქმედი კანონმდებლობით, კომპეტენტური სასამართლოს, საკანონმდებლო, საზედამხედველო ან მარეგულირებელი ორგანოს მიერ, ან ნებისმიერი სხვა პირის მიერ, რომელიც უფლებამოსილია მოითხოვოს ინფორმაციის გამჟღავნება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ან როცა ინფორმაციის ასეთი გამჟღავნება აუცილებელია **ბანკის** მიერ წინამდებარე პირობებით გათვალისწინებული ვალდებულებების სათანადოდ შესასრულებლად და **კრიპტო-მოდულის** მეშვეობით **მომსახურებების** უზრუნველსაყოფად.
- 16.2. თქვენ უფლებას აძლევთ **ბანკს**, გაამჟღავნოს თქვენთან დაკავშირებული ინფორმაცია (მათ შორის, მესამე პირისთვის ან **საფულის პროვაიდერისთვის**), როგორც ამას მოითხოვს ნებისმიერი მოქმედი კანონი, წესი, მარეგულირებელი მოთხოვნა ან ნებისმიერი კომპეტენტური ორგანოს მოთხოვნა, მათ შორის, AML/CFT-სთან დაკავშირებით, სანქციების დაცვასთან და ნებისმიერ მოქმედ შიდა პოლიტიკასთან დაკავშირებით, თქვენთვის წინასწარი შეტყობინების გარეშე, მოქმედი კანონმდებლობით დაშვებულ ფარგლებში.
- 16.3. თქვენ უფლებას აძლევთ **ბანკს**, გადასცეს ან/და გაამჟღავნოს თქვენი პერსონალური ინფორმაცია, რომელიც წარდგენილია ან შეგროვებულია **ბანკის** მიერ **კრიპტო-მოდულთან** დაკავშირებით, **ბანკის** შვილობილ კომპანიებზე, კონტრაქტორებზე, აგენტებსა და **მომსახურების მიმწოდებელ მესამე მხარეზე** (მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში, მესამე მხარის ვირტუალური აქტივების მომსახურების მიმწოდებლები, მეურვეები, ტექნოლოგიების მიმწოდებლები, გადამოწმების მიმწოდებლები და **ბანკის** მიერ ჩართული სხვა კონტრაქტები), როგორც ეს შეიძლება საჭირო იყოს, შემდეგ შემთხვევებში:



- 16.3.1. წინამდებარე პირობებით გათვალისწინებული მომსახურებების მიწოდება და შესრულება და კრიპტო-მოდულის ოპერირება;
- 16.3.2. სამართლებრივი, მარეგულირებელი, ანგარიშგების, აუდიტისა და რისკების მართვის მოთხოვნებთან შესაბამისობისთვის;
- 16.3.3. უსაფრთხოების, თაღლითობის პრევენციის, კლიენტის ვერიფიკაციისა და კომპლექსური შემოწმების მიზნებისთვის; და
- 16.3.4. კლიენტებთან ურთიერთობის მართვისა და მომსახურებასთან დაკავშირებული კომუნიკაციისათვის.
- 16.4. ბანკს ასევე შეუძლია გაუზიაროს ასეთი პერსონალური ინფორმაცია ბანკის სახელით მოქმედ მესამე პირებს კლიენტის ვერიფიკაციის, ანალიტიკური მიზნებისა და ბანკის შესაბამისობისა და საოპერაციო პროცესების მხარდასაჭერად.
- 16.5. თქვენი პერსონალური ინფორმაცია შეინახება არაუმეტეს იმ დროისა, რაც საჭიროა წინამდებარე პირობებით განსაზღვრული მიზნების შესასრულებლად და მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. თქვენ გაქვთ უფლება, მოითხოვოთ ასეთი პერსონალური ინფორმაციის შესწორება, დამატება, წაშლა ან დაბლოკვა, თუ ის არაზუსტი, არასრული ან უკანონოდ დამუშავებულია, პერსონალურ მონაცემთა დაცვის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად გარკვეულ გარემოებებში, თქვენ ასევე შესაძლოა გქონდეთ უფლება, გააპროტესტოთ ასეთი პერსონალური მონაცემების დამუშავება და მოიძიოთ სხვა სამართლებრივი საშუალებები, რომლებიც ხელმისაწვდომია ასეთი პერსონალური ინფორმაციის დამუშავებასთან დაკავშირებით.

17. საერთაშორისო სანქციები

- 17.1. კლიენტი აცხადებს და თანახმაა, რომ:
- 17.1.1. კლიენტს ან/და მასთან დაკავშირებულ პირ(ებ)ს (ამ პუნქტის მიზნებისათვის, ეს მოიცავს, სხვა პირებთან ერთად, ნებისმიერ პირს, რომელსაც ბანკის შეფასებით, შეუძლია გავლენა მოახდინოს კლიენტზე ან კლიენტის ქმედებებზე, იქნება ეს პირდაპირი თუ არაპირდაპირი გზით, და რომელიც ფლობს ან/და აკონტროლებს შესაბამის პირს) შეიძლება ჰქონდეს მჭიდრო სამუშაო, ურთიერთობრივი ან სხვა სახის კავშირები ნებისმიერ დროს წინამდებარე პირობების მოქმედების პერიოდში.
- 17.1.2. არ არიან და არ იქნებიან გაეროს, ევროკავშირის, გაერთიანებული სამეფოს, ამერიკის შეერთებული შტატების, საქართველოს ან ნებისმიერი სხვა ქვეყნის ან საერთაშორისო ორგანიზაციის („უფლებამოსილი პირები“) სანქცირებული პირების სიაში („სანქცირებული პირების სია“) და მათ მიმართ არ იქნება დაწესებული სანქციები. ამ პუნქტის მიზნებისათვის, „სანქციები“ მოიცავს, სხვა საკითხებთან ერთად, კონკრეტულ შეზღუდვებს, პოლიტიკას, აკრძალვებსა და უფლებამოსილი პირების მიერ გამოცემულ სხვა დირექტივებს.



- 17.1.3. არ არიან და არ იქნებიან რომელიმე იმ ქვეყნის რეზიდენტები, რომლებიც ექვემდებარებიან სრულ სავაჭრო სანქციებს ან შეზღუდვებს, რომლებიც დაწესებულია **უფლებამოსილი პირების** მიერ.
- 17.1.4. პირდაპირ ან/და არაპირდაპირ, მათ შორის, მაგრამ არა მხოლოდ, მესამე პირების მეშვეობით მოქმედებით, არ დადეს და არ დადებენ რაიმე შეთანხმებას (მათ შორის, ხელს არ შეუწყობენ ასეთი შეთანხმების დადებას) ნებისმიერ პირთან ან სუბიექტთან, რომელიც მითითებულია **სანქცირებული პირების სიაში**, რომელიც ექვემდებარება სანქციებს, ან რომელიც არის იმ ქვეყნის რეზიდენტი, რომელიც ექვემდებარება სრულ სავაჭრო სანქციებს ან შეზღუდვებს.
- 17.1.5. პირდაპირ და/ან არაპირდაპირ, მათ შორის, მაგრამ არ შემოიფარგლება მესამე პირების მეშვეობით მოქმედებით, არ დადეს და არ დადებენ რაიმე შეთანხმებას (მათ შორის, ხელს არ შეუწყობენ ასეთი შეთანხმების დადებას) იმ მხარესთან ან იმ აქტივთან/საქმიანობასთან/პროდუქტთან/მომსახურებასთან დაკავშირებით, რომელიც ექვემდებარება სრულ და/ან მიზნობრივ და/ან დარგობრივ სანქციებს/შეზღუდვებს.
- 17.2. იმ შემთხვევაში, თუ წინამდებარე პირობების 17.1 პუნქტის შესაბამისად გაკეთებული განცხადება წარმოადგენს სანქციების დარღვევას ან სანქციების გვერდის ავლას, ან/და **ბანკის** შეფასების მიხედვით არსებობს რისკი, რომ **კლიენტს** ან/და მასთან დაკავშირებულ პირებს დაეკისრებათ სანქციები, ან/და ასეთი სანქციები რეალურად იქნება დაწესებული, **ბანკი** უფლებამოსილი იქნება იმოქმედოს 17.1 პუნქტში აღნიშნული **უფლებამოსილი პირების** მიერ დაწესებული სანქციების შესაბამისად ან/და იმოქმედოს უფლებამოსილი პირებისა ან/და ორგანიზაციების მიერ გამოცემული დირექტივების შესაბამისად ან/და შეასრულოს ნებისმიერი საჭირო ქმედება. სხვა საკითხებთან ერთად, **ბანკს** აქვს უფლებამოსილება, ხელი შეუშალოს **კლიენტს** ნებისმიერი ფულადი სახსრების ან აქტივების მართვაში ან/და განაწილებაში.

18. კლიენტის პერსონალური მონაცემები

18.1. თქვენ აცნობიერებთ და ეთანხმებით, რომ:

18.1.1. **ბანკი** შეაგროვებს, გამოიყენებს, დაამუშავებს, შეინახავს და გაამჟღავნებს თქვენს პერსონალურ ინფორმაციას (გარდა სპეციალური კატეგორიის პერსონალური მონაცემებისა), მათ შორის, პერსონალურ ინფორმაციას, რომელიც თქვენ მიუთითეთ **კრიპტო-მოდულზე** წვდომისა და რეგისტრაციისას ან/და **მობილური ბანკის** გამოყენებისას (მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, საიდენტიფიკაციო ინფორმაციას (სახელი და გვარი, დაბადების თარიღი, პირადი ნომერი, მისამართი, მოქალაქეობა, საცხოვრებელი ადგილი, სქესი, ფოტოსურათი, ტელეფონის ნომერი), საგადასახადო საიდენტიფიკაციო მონაცემებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში), FATCA სტატუსს (ასეთის არსებობის შემთხვევაში), პოლიტიკურად აქტიური პირის (PEP) სტატუსს, დასაქმების ინფორმაციას (სტატუსი, სექტორი, დამსაქმებელი, თანამდებობა) და ფინანსურ ინფორმაციას (მათ შორის, საშუალო



წლიური შემოსავალი და შემოსავლის წყარო)), **კრიპტო-მოდულის** მეშვეობით **მომსახურების** გაწევის, მოქმედ სამართლებრივ და მარეგულირებელ ვალდებულებებთან შესაბამისობის და გადაცდომის, თაღლითობისა და უნებართვო საქმიანობის პრევენციის, გამოვლენისა და გამოძიების მიზნებისთვის (სხვა საკითხებთან ერთად). პერსონალური მონაცემების დეტალური სია შეიძლება განისაზღვროს შესაბამის დანართში ან/და **ბანკის** მოქმედ კონფიდენციალურობის დოკუმენტაციაში.

18.1.2. **კრიპტო-მოდულზე** თქვენი წვდომის უზრუნველყოფისა და **კრიპტო-მოდულის** მეშვეობით **მომსახურების** გაწევის მიზნით (მათ შორის, კლიენტის იდენტიფიკაცია და ვერიფიკაცია, ტრანზაქციების დამუშავება, შენახვა/მეურვეობა, შესაბამისობის შემოწმება და რისკების მონიტორინგი), **ბანკს** შეუძლია გადასცეს თქვენი პერსონალური ინფორმაცია (მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, 18.1.1 პუნქტში მითითებული ინფორმაცია) **ბანკის მომსახურების მიმწოდებელ მესამე მხარეს**, რომლებიც ჩართული არიან **კრიპტო-მოდულის** ოპერირებაში (მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში, **ვირტუალური აქტივების** მომსახურების მიმწოდებლებს, მეურვეებს, შესრულების პროვაიდერებს, ვერიფიკაციის პროვაიდერებს, შესაბამისობის მომწოდებლებს და სხვა შესაბამის კონტრაქტორებს). თქვენ აცნობიერებთ, რომ თუ მომსახურების გასაწევად აუცილებელია მონაცემების ასეთი გადაცემა, თანხმობის გამოხმობამ (საჭიროების შემთხვევაში) შეიძლება გამოიწვიოს **ბანკის** უფლება, შეწყვიტოს თქვენთვის **კრიპტო-მოდულის** მომსახურების მიწოდება და შეზღუდოს ან შეწყვიტოს თქვენი წვდომა **კრიპტო-მოდულზე**.

18.1.3. წინამდებარე **პირობების** შესაბამისად, თქვენთვის **მომსახურების** შეთავაზებისა და/ან მიწოდების მიზნით, **ბანკს** შეუძლია შეაგროვოს, გამოიყენოს, დაამუშაოს, შეინახოს და გაუმჟღავნოს თავის შვილობილ კომპანიებს და/ან შესაბამის მესამე მხარის მომსახურების მიმწოდებლებს თქვენი ყველა პერსონალური ინფორმაცია (გარდა სპეციალური კატეგორიის პერსონალური მონაცემებისა), მათ შორის თქვენ მიერ მითითებული პერსონალური ინფორმაცია (მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, 18.1.1 პუნქტში მითითებული ინფორმაცია).

18.1.4. **კრიპტო-მოდულის** მეშვეობით თქვენთვის **მომსახურების** გაწევის, საოპერაციო უწყვეტობის შენარჩუნების, უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და/ან **კრიპტო-მოდულთან** დაკავშირებული გაუმჯობესებებისა და შესაძლებლობების შესწავლის მიზნით, **ბანკს** შეუძლია გადასცეს თავის შვილობილ კომპანიებს და/ან **მომსახურების მიმწოდებელ მესამე მხარეს** ყველა ინფორმაცია თქვენ შესახებ, მათ შორის, თქვენი პერსონალური მონაცემები (მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, 18.1.1 პუნქტში მითითებული ინფორმაცია), ამ მიზნებისთვის საჭირო მოცულობით და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

18.2. თქვენ ადასტურებთ, რომ თქვენ წაიკითხეთ და გაეცანით **ბანკის** მოქმედ კონფიდენციალურობის პოლიტიკას და მონაცემთა დამუშავების პირობებს, რომლებიც



ხელმისაწვდომია **მობილური ბანკის** ან/და **ბანკის** ოფიციალური არხების მეშვეობით და რომლებიც, შესაძლოა, დროდადრო განახლდეს.

19. ცვლილებები

- 19.1. **ბანკი** უფლებამოსილია წინასწარი შეტყობინების გარეშე შეიტანოს ამ **პირობებში** ისეთი ცვლილებები, რომლებიც თქვენთვის ხელსაყრელი ან ნეიტრალური იქნება.
- 19.2. ცვლილებები, რომლებიც არ არის თქვენთვის სასარგებლო, შეიძლება განხორციელდეს **ბანკის** მხრიდან ცალმხრივად დროის ნებისმიერ მონაკვეთში, თქვენთვის წინასწარი მინიმუმ 30 (ოცდაათი) კალენდარული დღიანი შეტყობინების გზით. **ბანკი** ამგვარ შეტყობინებას მოგაწვდით **სერვისის შეტყობინებების** საშუალებით. თუ შემოთავაზებულ ძალაში შესვლის თარიღამდე **ბანკს** არ შეატყობინებთ, რომ არ ეთანხმებით ამგვარ ცვლილებებს, ჩაითვლება, რომ თქვენ დაეთანხმეთ განახლებულ **პირობებს**. თუ ცვლილებებს არ დაეთანხმებით, **ბანკს** შეუძლია შეაჩეროს ან/და შეწყვიტოს თქვენი წვდომა **კრიპტო-მოდულზე** და, გონივრულ ფარგლებში, რაც შეიძლება მალე დახუროს **ანგარიში** (შესაბამის შემთხვევებში, ნებისმიერი დარჩენილი ვალდებულების შესრულებისა და მიმდინარე ტრანზაქციების აღსრულების შემდეგ). წინამდებარე **პირობების** ნებისმიერი განახლებული ვერსია ჩაანაცვლებს ყველა წინა ვერსიას და თქვენ უნდა გაცნოთ და გაითვალისწინოთ **მობილური ბანკის** და/ან **ბანკის** ოფიციალური არხების მეშვეობით ხელმისაწვდომი უახლესი ვერსია.
- 19.3. მიუხედავად ამ პუნქტისა, თუ შესწორება საჭიროა მოქმედი კანონმდებლობის, რეგულაციის, მარეგულირებლის მითითებების ან კომპეტენტური ორგანოს სავალდებულო მოთხოვნის ცვლილების გამო და ამგვარი ცვლილების დრო გონივრულად არ აძლევს **ბანკს** საშუალებას, წინასწარ გაგზავნოს შეტყობინება ოცდაათი (30) კალენდარული დღით ადრე, **ბანკს** შეუძლია განახორციელოს შესწორება უფრო მოკლე შეტყობინებით (ან, საჭიროების შემთხვევაში, დაუყოვნებლივი ძალით) და გაცნობებთ **სერვისის შეტყობინებების** მეშვეობით გონივრულ ვადაში მას შემდეგ, რაც **ბანკი** შეიტყობს ამგვარი ცვლილების შესახებ ან მას შემდეგ რაც **ბანკს** მოეთხოვება ამგვარი ცვლილების განხორციელება.
- 19.4. **ბანკს** შეუძლია შეცვალოს ნებისმიერი მოქმედი საკომისიო და გადასახადი წინასწარი შეტყობინების გარეშე და დაუყოვნებლივი ძალით, თუ ასეთი ცვლილება თქვენ სასარგებლოდ არის განხორციელებული, ან თუ ცვლილების საფუძველი წარმოიშობა ბანკის კონტროლს მიღმა არსებული გარე გარემოებების გამო, მათ შორის, თუ:
- 19.4.1. **მომსახურების მიმწოდებელი მესამე მხარის** (მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, მეურვეების, შესრულების პროვაიდერების, საგადახდო ინფრასტრუქტურის პროვაიდერების, **საფულის პროვაიდერების**, საბაზრო მონაცემების პროვაიდერების ან სხვა შესაბამისი კონტრაქტორების) მიერ დაწესებული საკომისიოები, მოსაკრებლები ან გადასახადები იცვლება და ვრცელდება თქვენზე; ან/და



19.4.2. **ბანკს** მოეთხოვება თავისი ხარჯებისა და ფასების სტრუქტურის შეცვლა მოქმედი კანონმდებლობის, რეგულაციების, მარეგულირებელი მოთხოვნების ან სავალდებულო ინსტრუქციების ცვლილებების გამო.

20. მარეგულირებელი სამართალი და დავების გადაწყვეტა

- 20.1. წინამდებარე **პირობები** რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად; **პირობების** ირგვლივ წამოჭრილი ნებისმიერი დავა (მათ შორის, **პირობების** არსებობასთან, ინტერპრეტაციასთან, შესრულებასთან და აღსრულებასთან დაკავშირებით) წყდება მოლაპარაკებით. შეუთანხმებლობის შემთხვევაში, მხარეები მიმართავენ საქართველოს საერთო სასამართლოს.
- 20.2. წინამდებარე პუნქტი ძალაში რჩება წინამდებარე **პირობების** ნებისმიერი შეწყვეტის შემდეგ.

21. სხვადასხვა

- 21.1. თუ ამ **პირობების** რომელიმე დებულება ნებისმიერ დროს იქნება ან გახდება უკანონო, ძალადაკარგული ან შეუსრულებადი ნებისმიერი იურისდიქციის კანონმდებლობის შესაბამისად, ამ პირობების დარჩენილი დებულებების კანონიერება, ძალა და აღსრულებადობა არანაირად არ შეიცვლება ამ იურისდიქციის კანონმდებლობის შესაბამისად.
- 21.2. თქვენ არ შეგიძლიათ გადასცეთ თქვენი უფლებები ან გადაანდოთ თქვენი ვალდებულებები ნებისმიერ მესამე პირს წინამდებარე **პირობების** ფარგლებში, ხოლო **ბანკი** უფლებამოსილია გადასცეს თავისი უფლებები ან გადაანდოს თავისი ვალდებულებები მესამე მხარეს.
- 21.3. თქვენ დაუყოვნებლივ, მოთხოვნისთანავე ან **ბანკის** მიერ განსაზღვრულ დროს, უნდა წარმოადგინოთ **ბანკის** მიერ მოთხოვნილი ნებისმიერი დამატებითი ინფორმაცია ან/და დოკუმენტი. აღნიშნულის შეუსრულებლობამ, შესაძლოა, თქვენი **ანგარიშის** შეჩერება ან შეწყვეტა გამოიწვიოს.
- 21.4. წინამდებარე **პირობებში** მოცემული უფლებები და შესაძლებლობები არის კუმულაციური ხასიათის და არ გამორიცხავს კანონით გათვალისწინებულ სხვა უფლებებსა თუ შესაძლებლობებს.
- 21.5. **ბანკის** მხრიდან კანონით ან წინამდებარე **პირობებით** გათვალისწინებული ნებისმიერი უფლების, უფლებამოსილების ან სამართლებრივი დაცვის საშუალების გამოყენების შეფერხებამ, გამორჩენამ ან ნაწილობრივმა თუ არასათანადო გამოყენებამ:
- 21.5.1. არ უნდა შეზღუდოს ან ხელი შეუშალოს ამ უფლების, უფლებამოსილების ან საშუალების შემდგომ ან სხვა გამოყენებას; ან
- 21.5.2. არ უნდა განიმარტოს, როგორც უარის თქმა ასეთ უფლებაზე, უფლებამოსილებაზე ან საშუალებაზე.



- 21.6. თქვენ შეძლებთ **ბანკთან** კომუნიკაციას ქართულ, ინგლისურ ან ნებისმიერ სხვა ენაზე, რომელიც შეიძლება ბანკმა დროდადრო შემოგთავაზოთ. **კრიპტო-მოდული** ხელმისაწვდომი იქნება ქართულ ან ინგლისურ ენებზე. ანგარიშის ამონაწერები, სავაჭრო დადასტურებები ან **მომსახურების მიმწოდებელი მესამე მხარის** მიერ კრიპტო-მოდულის მეშვეობით მოწოდებული სხვა ინფორმაცია იქნება მხოლოდ ინგლისურ ენაზე.
- 21.7. თუ რომელიმე საკითხი პირდაპირ არ რეგულირდება წინამდებარე **პირობებით**, ის რეგულირდება **ბანკსა** და თქვენ შორის დადებული **ხელშეკრულებით ფიზიკური პირის საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ**. ყოველგვარი ეჭვის თავიდან არიდების მიზნით, წინამდებარე **პირობები** არეგულირებს მხოლოდ თქვენ წვდომას და **კრიპტო-მოდულის** გამოყენებას და არ არეგულირებს **ბანკის** მიერ მოწოდებულ სხვა საბანკო პროდუქტებსა თუ მომსახურებებს, თუ წინამდებარე **პირობებში** სხვა რამ არ არის მითითებული.



დანართი N1

ტრანზაქციის ლიმიტები	
ინდივიდუალური დავალების ლიმიტები:	
• ტრანზაქციის მინიმალური ღირებულებაა 1 აშშ დოლარი და მაქსიმალური ღირებულებაა 20,000 აშშ დოლარი ყოველი ინდივიდუალური შეძენის ან გაყიდვის დავალებისათვის.	
დღიური ტრანზაქციის ლიმიტები:	
• მაქსიმალური ჯამური ღირებულებაა 50,000 აშშ დოლარი ყველა შესყიდვის დავალებისთვის, რომელიც შესრულებულია ერთი კალენდარული დღის განმავლობაში; • მაქსიმალური ჯამური ღირებულებაა 50,000 აშშ დოლარი ყველა გაყიდვის დავალებისთვის, რომელიც შესრულებულია ერთი კალენდარული დღის განმავლობაში; ამ მუხლის მიზნებისათვის, ერთი კალენდარული დღე ნიშნავს სრულ კალენდარულ დღეს, რომელიც იწყება 00:00-ზე (ჩათვლით) და მთავრდება 23:59-ზე (ჩათვლით) იმავე კალენდარულ დღეს.	
ყოველკვირეული ტრანზაქციების ლიმიტები	
• მაქსიმალური ჯამური ღირებულებაა 100,000 აშშ დოლარი ყველა შესყიდვის დავალებისთვის, რომელიც შესრულებულია ერთი კალენდარული კვირის განმავლობაში; • მაქსიმალური ჯამური ღირებულებაა 100,000 აშშ დოლარი ყველა გაყიდვის დავალებისთვის, რომელიც შესრულებულია ერთი კალენდარული კვირის განმავლობაში; ამ მუხლის მიზნებისათვის, ერთი კალენდარული კვირა ნიშნავს პერიოდს, რომელიც იწყება ორშაბათს 00:00-ზე (ჩათვლით) და სრულდება იმავე კალენდარული კვირის კვირა დღეს 23:59-ზე (ჩათვლით).	
ტრანზაქციების ყოველთვიური ლიმიტები	
• მაქსიმალური ჯამური ღირებულებაა 250,000 აშშ დოლარი ყველა შესყიდვის დავალებისთვის, რომელიც შესრულებულია ერთი კალენდარული თვის განმავლობაში; • მაქსიმალური ჯამური ღირებულებაა 250,000 აშშ დოლარი ყველა გაყიდვის დავალებისთვის, რომელიც შესრულებულია ერთი კალენდარული თვის განმავლობაში. ამ მუხლის მიზნებისათვის, ერთი კალენდარული თვე ნიშნავს პერიოდს, რომელიც იწყება 00:00-ზე (ჩათვლით) შესაბამისი თვის პირველ კალენდარულ დღეს და სრულდება 23:59-ზე (ჩათვლით) იმავე თვის ბოლო კალენდარულ დღეს.	



თქვენ აცნობიერებთ და ეთანხმებით, რომ:

- ვირტუალური აქტივები ძალიან ცვალებადია და, შესაძლოა, მთლიანად ან არსებითად მთლიანად დაკარგონ ღირებულება;
- ტრანზაქციები ვირტუალურ აქტივებში, როგორც წესი, შეუქცევადია;
- ვირტუალური აქტივები არ არის განსაზღვრული როგორც გადახდის კანონიერი საშუალება და არ არის უზრუნველყოფილი რომელიმე სახელმწიფო ორგანოს მიერ;
- ვირტუალური აქტივების მარეგულირებელი, სამართლებრივი და საგადასახადო რეჟიმი შეიძლება შეიცვალოს ნებისმიერ დროს;
- შესაძლებელია დადგეს ტექნოლოგიური რისკები, მათ შორის, კიბერ-შეტევები, სისტემის გაუმართაობა, ბლოკჩეინის შეფერხებები და მესამე მხარის გაუმართაობა.

კრიპტო-ვალუტასთან დაკავშირებული მომსახურებების გამოყენების შედეგად ზიანის რისკი შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი. თქვენ ყურადღებით უნდა გაეცნოთ და გადაწყვიტოთ არის თუ არა ვირტუალური აქტივების შეძენა, გაყიდვა ან შენახვა თქვენთვის შესაფერისი და მხოლოდ აღნიშნულის შემდგომ დაიწყოთ ინვესტირება.